საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედ. სარევ. პარტია.

წელიწადი [illegible]

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 2,500,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 100,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სახალის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34.

განცხადების ფასი
1 გვ. 20 კაპ. ჩ[illegible]
4 „ 15 „
სამგლოვიარო [illegible]
1 გვ. 3,500,000 მან.
4 „ 2500,000 „

№ 558 ოთხშაბათი, აგვისტოს 29 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 100,000

რევოლუციის მუზეუმი
МУЗЕЙ РЕВОЛЮЦИИ

კვირას, სექტემბრის 1, ქუთაისის პარტ. კლუბში მოწვეულია საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედ. პარტიის

ქუთაისის

## სამაზრო კონფერენცია

დღის წესრიგი:

1. საერთაშორისო მდგომარეობა.
2. პარტიული მუშაობა.
3. ქუთ. კომიტეტის ანგარიში.
4. მოხსენება ადგილებიდან.
5. პარტიული წესდების გადასინჯვა.
6. მიმდინარე საკითხები.
7. არჩევნები ქუთაისის სამაზრო კომიტეტისა და სარევიზიო კომისიისა.

დელეგატებს ირჩევს ორგანიზაციის საზოგადო კრება.

ყოველმა ორგანიზაციამ ქუთაისის სამაზრო პარტიულ კონფერენციაზე უნდა გამოგზავნოს თითო დელეგატი. თუ ორგანიზაციაში ოცზე მეტი წევრია, ყოველ ოც წევრზე იგზავნება თითო დელეგატი. ახალგაზრდათა ორგანიზაციები გზავნიან თითო დელეგატს სათათბირო ხმით.

კონფერენცია გაიხსნება დილის 11 საათზე.

გაზეთი „ტრიბუნა“

ენკენისთვის 1-დან ღირება:

| | |
|---|---|
| პროფკავშირთა წევრებისათვის თვიურად | 3.000.000 მ. |
| დაწესებულებათა და კერძო პირთათვის | 4.000.000 „ |
| ცალკე ნომერი | 150.000 „ |

## გამოსავალი არა სჩანს

გერმანეთში შექმნილმა პოლიტიკურმა კრიზისებმა კუნო იმსხვერპლა. შტრეზემანის პოლიტიკამ ჯერჯერობით ვერაფერს მიაღწია. შექმნილი პირობები კვლავ დაუძლეველია. ფინანსიური კრიზისი და საფინანსო უწყების ქაოსი უფრო ძლიერი გამოდგა, ვიდრე მინისტრ ჰილფერდინგის საფინანსო ერუდიცია. სახელმწიფოს დეფიციტს თვეების განმავლობაში ასეული ტრილიონები გამოხატავს. შტრეზემანი ავსტრიის მაგალითს უჭერს მხარს. და იგი ჰფიქრობს, რომ გერმანეთის განთავისუფლებას ოკუპაციისაგან შესძლებს ოქროს სესხი.

გერმანეთის ნაციონალისტები უკვე გრძნობენ საფრთხეს სამოქალაქო ომის დაწყების წინაშე. ისინი ავსტრიის ნაციონალისტებთან მართავენ თათბირს ზალცბურგში, სადაც უკანასკნელნი პირდებიან პირველთ შეიარაღებულ დახმარებაზედ, თუ მდგომარეობა ამას მოითხოვს.

ამსტერდამიდან დაბრუნებული ტომასი პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს აცხადებს, რომ შტრეზემანის მთავრობა გერმანეთში არის უკანასკნელი კოალიციონური მთავრობა, რომლის ადგილი უნდა დაიჭიროს ან მილიტარისტულმა დიქტატურამ ან მემარცხენე პარტიების ხელისუფლებამ კომუნისტების მეთაურობით.

შტრეზემანის სიტყვა საერთოდ საგარეო პოლიტიკის და კერძოდ რურის ოკუპაციის შესახებ მხოლოდ თავისი ტონის მიხედვით მოსწონთ მოკავშირეთა პრესას. ამის გამო საფრანგეთის ერთ ერთი ჟურნალი აღნიშნავს, რომ ტონის გამოცვლას ვერ მივაწერთ დიდ მნიშვნელობასო. საფრანგეთი კი ამტკიცებს რურის ოკუპაციის კანონიერებას და არაფერს არ თმობს.

როგორც ვხედავთ, ახალი მინისტრების ხელი ვერ შველის გერმანეთს. ბუნებრივად კრიზისები თავის გზით მიდის. თათბირები, ფინანსიური ხასიათის ღონისძიებანი და სხვა მდგომარეობის შემსუბუქებას არ იწვევს.

გერმანეთის მუშათა კლასი კვლავ დუხჭირ და აუტანელ პირობებშია. კოალიციონურმა მთავრობამ გერმანეთი მიიყვანა კატასტროფამდე. გამოსავალი არა სჩანს. კრიზისების გაღრმავება ლოღიკურ დასკვნამდე მიდის. ის საფუძველი გახდება მუშათა მოძრაობის განვითარების, რომელმაც უნდა მოახდინოს კოალიციონური მთავრობის ლიკვიდაცია.

## ტელეგრამები

— საერთაშორისო კოოპერატიულ ყრილობაზედ, რომელიც გაიხსნება ა. წ. 29 ენკენისთვეს პრაგაში, „ცენტროსოიუზის“ წარმომადგენლებად მიდიან ხინჩუკი, ტიხომიროვი და კანტორი.

— მოსკოვში მოვიდა ესტონიის ცენტრალ კოოპერატიულ საზოგადოების დელეგაცია თავმჯდომარის მამზინგის მეთაურობით. დელეგაციის მიზანია სავაჭრო კავშირის დაჭერა საბჭოთა ფედერაციის კოოპერაციასთან.

— „ცენტროსოიუზი“ მიწვეულია კენისბერგის (გერმანია) იარმუკაზედ, რომელიც გაიმართება ამ შემოდგომაზედ.

**ვენა.** 26—8. ვენგრიაში იზრდება მოძრაობა ხელფასის მომატებისათვის ყველა დარგის მუშამოსამსახურეთა მონაწილეობით. მთავრობამ ასწია სახელმწიფო მოსამსახურეთა ჯამაგირი 25 პროცენტით, რაც მოსამსახურეთ არ აკმაყოფილებს.

**ვენა.** 26—8. ავსტრიის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს არჩევნებში სასტიკად დამარცხდნენ ფაშისტები, თუმცა მთავრობა მათ უჭერდა მხარს.

**ტოკიო.** 26—8. ანარქისტ-სინდიკატის ტოკაიეს დასაფლავებაზედ, რომელიც მოჰკლა ფაშისტურ საზოგადოების თავმჯდომარემ, გაიმართა პოლიტიკური დემონსტრაცია. მიუხედავად სასტიკი რეპრესიებისა დასაფლავებაში მონაწილეობას ღებულობდა მრავალი ათასი მუშები.

**რომი.** 26—8. შრომის კონფერენციის ყრილობაზედ ორი მესამედი ხმის უმეტესობით მიიღეს რეზოლიუცია (სოციალ-დემოკრატ-კონფედერალისტებისა), რომლითაც ყრილობამ ნდობა გამოუცხადა ალმასკომს და აღიარა პრინციპი კონფერენციის დამოუკიდებლობისა პოლიტიკური პარტიებისა და მთავრობისაგან.

**პარიზი.** 26—8. გაზის ქარხნების მუშათა კავშირმა დაადგინა გაიფიცოს ყოველდღე ორ-ორი საათი, სანამ არ დააკმაყოფილებენ წაყენებულ მოთხოვნილებებს.

**პარიზი.** 26—8. ბილბაოს (ისპანიაში) კომუნისტურმა ორგანიზაციებმა გამოაცხადეს 4 საათის გაფიცვა ნიშნად სოლიდარობისა გაფიცულ მემალაროვებისა.

**პარიზი.** 26—8. მალაგაში აჯანყდა ისპანიის ერთი ბატალიონი, უარი განაცხადა მაროკოში წასვლაზედ და მოჰკლა ერთი ოფიცერი. შემდეგ გაიმართა ხელჩართული ბრძოლა და ბევრი დაიჭრა და დაიხოცა. ბატალიონი ძალად გადასხეს გემებზედ. ასევე მოიქცა ბატალიონი სეფილიაში.

**ბერლინი.** 28—8. „დეილ-მეილის“ ცნობით ბალდვინი და პუანკარე შეხვდებიან ერთმანეთს სექტემბრის 2-ს.

**ლონდონი.** 28—8. გუშინ დაიწყო არჩევნები ირლანდიის პარლამენტის დეპუტატებისა.

**ლონდონი.** 28—8. ნიუიორკის საერთიერთო ნდობის გაერთიანებულ საზოგადოებათა თავმჯდომარის ამხანაგმა **სისენმა** რუსეთიდან პარიზზედ გავლის დროს განუცხადა „ნიუიორკის ტრიბუნის“ კორესპოდენტს, რომ რუსეთის ახალი ვალიუტა ოქროს ბაზარზედ, საუკეთესო ვალიუტაა ევროპაშიო, ინგლისის ბანკირები სრულის ნდობით ახურდავებენ რუსულ ჩერვონცებს და ამ მაგალითს ამერიკის ბანკირებიც წაბაძავენო.

## ყოფილ მენშევიკთა სრ. საქართველოს ყრილობა

**მეორე სხდომა.**

(26 აგვისტო დილა.)

კრება იხსნება სრულ 11 საათზე, თავმჯდომარეობს ალ. ფარნიევი, შემდეგ ვ. სიხარულიძე.

**ამხ. ფარნიევი.** ყრილობას გახსნილად ვაცხადებ (ორკესტრი ინტერნაციონალს ასრულებს). იყო გუშინ ერთი შეკითხვა, რომელიც არ გამოვაცხადეთ; გაუგებრობას რომ არ ჰქონდეს ადგილი, პრეზიდიუმის სურვილით ვაქვეყნებთ,—ეს არის შეკითხვა—რომელი ფული უფრო ეცემა რუსეთის თუ საზღვარ გარეთის.

**მარტინოვი.** უპასუხებს, რომ რასაკვირველია, რუსეთის ფულის მდგომარეობა უფრო მერყეობაშია, ვიდრე უცხო ვალიუტა, ვინაიდგან სამოქალაქო ომმა და სხვა პირობებმა ეს მდგომარეობა შექმნეს, მაგრამ მიუხედავად ამისა პოლონეთის და სხვა სახელმწიფოთა ფინანსიური მდგომარეობა და ფულის დაცემა უფრო შორს მიდის, ვიდრე რუსეთში, თუმცა მათ ევროპა ეხმარება ყოველ მხრივ.

**თავმჯდომარე:** ამხანაგებო, ყრილობის სახელით მისასალმებელ მილოცვას გაუგზავნით ამხ. ილიჩს მისი ჯანმრთელობის გაუმჯობესების გამო.

ამის შემდეგ სიტყვა ეძლევა მოხსენებისათვის ამხ. ჭუმბურიძეს:—**საქ. სოც.-დემოკრატიის ტაქტიკა და პარტის თვითლიკვიდაცია.** იგი ეხება უკანასკნელ ათეულ წლის განმავლობაში მსოფლიოში სოციალურ გარდატეხის მიზეზებს—იმპერიალისტურ ომის და ოქტომბრის რევოლიუციას, რაც შლის კაპიტალისტურ ცივილიზაციას და სხ.. ეხება ვერსალის ხელშეკრულებას, რომელმაც აუტანელ ეკონომიურ კრიზისში ჩააყენა ევროპის ზოგიერთი სახელმწიფონი, მაგალითად გერმანია და ჰეგემონია მისცა იმპერიალისტურ სახელმწიფოებს ეკონომიურ ბატონობისთვის.

იგი აღნიშნავს, როგორ იხრწნება კაპიტალისტური საზოგადოების ორგანიზმი და კვდება ამ ბურჟუაზიულ სისტემის პიედესტალზე აგებული ზარბაზნების, „ბაქტერიოლოგიური ბომბების“ ცივილიზაცია, თუ როგორ როლს თამაშობს ოქტომბრის რევოლიუციით გამაგრებული პროლეტარიატი, რომელიც აღვიძებს მუშათა კლასს და დაშლილ მსოფლიო მეურნეობის დროს კოლექტიური შრომით ამაგრებს თავის პროლეტარულ სახელმწიფოს; რუსეთმა ჯერ სცადა ევროპისაკენ რევოლიუციის გადასროლა, მაგრამ სხვადასხვა ობიექტიურმა და სუბიექტიურმა მიზეზებმა, მენშევიკების და ყველა ყვითელ პარტიების შეთანხმებულმა მოქმედებამ ბურჟუაზიასთან ერთად, კოალიციის პოლიტიკამ, არ მისცეს ამის საშუალება. აღმოსავლეთის პოლიტიკა—ახალი გზაა რევოლიუციისაკენ: მენშევიზმის იდეოლოგია და ტაქტიკა დამარცხდა და მისი წინასწარმეტყველება, რომ ბოლშევიზმი რამოდინიმე დღეში მოკვდებაო, არ გამართლდა. შემდეგ იგი ეხება საქართველოს მენშევიზმს და ამბობს, რომ ნაციონალიზმის უარმყოფელი ქართველი სოციალ-დემოკრატია და მისი ბელადი ჟორდანია, ოქტომბრის რევოლიუციით განდევნილი რუსეთის სინამდვილედან, საქართველოს დამოუკიდებლობის ინიციატივას იღებს და მით ოქტომბრის რევოლიუციას ზურგი შეაქცია ამ გვარად 26 მაისი არ იყო ნაკარნახევი, არც ისტორიული აუცილებლობით, იგი არც ქართველი ხალხის, არც რევოლიუციის ინტერესებიდან გამომდინარეობდა"—დასძენს მომხსენებელი. შემდეგ იგონებს იტალიის ყოფილ პრემიერ მინისტრ ფრანჩესკო ნიტის წიგნს, სადაც აღნიშნულია, თუ რომელ სახელმწიფოს შეეყვანა ჯარი „დამოუკიდებელ“ სახელმწიფოში.

იგი მენშევიკურ ცეკას ავანტიურისტებს და მოღალატეებს უწოდებს და მოუწოდებს ამხანაგებს პარტიის ლიკვიდაციისაკენ. რაც შეეხება დამოუკიდებელ ახალ პარტიის შექმნას, მომხსენებლის აზრით, ყოვლად მიუღებელია, პოლიტიკური უაზრობა, მაშინ როდესაც არსებობს კომუნისტური პარტია, რომელთანაც შეიძლება შეთანხმება.

შემდეგ იგი მოუწოდებს მუშებს, რომ არ აყვნენ მენშევიკურ ცეკას და მსოფლიო პროლეტარულ საქმეში ახალი ძალებით წვლილი შეიტანონ. იგი ასრულებს შემდეგი სიტყვებით—გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას და მის გენიოს ხელმძღვანელ ლენინს (ტაში, ინტერნაციონალი).

ჭუმბურიძის მოხსენების შემდეგ იმართება კამათი და აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ნაწილი დელეგატებისა მოითხოვენ, აუხსნან თუ რა მომავალი აქვთ, მიიღებენ მათ კომუნისტურ პარტიაში, თუ ბოლშევიკებიც საეჭვო პიროვნებათ ჩასთვლიან, ან პარტიის ლიკვიდაციის შემდეგ, როცა დელეგატები დაბრუნდებიან სოფლად, რა უნდა უთხრან ამომრჩეველებს.

**დელეგატი ადგილიდან** ჩვენ ლიკვიდაციას ვახდენთ პარტიისას და ეს ხდება ნაძალადევათ (ხმაურობა, ზარის წკარუნი). მე სახლში ვმუშაობდი და ჩეკისტებმა გამომიცხადეს, წადით თორემ იზარალებო და ჩვენც მოვედით. (ხმაურობა) თავმჯდომარე მოუწოდებს ყრილობას წესიერებისაკენ.

**ჭუმბურიძე** როგორი იქნება ჩვენი მომავალი მდგომარეობა პოლიტიკური, მოგახსენეთ, რაკი მივიღეთ პროლეტარულ დიქტატურის იდეა, ისპობა ყოველგვარი დავა ჩვენ ნამდვილი კომუნისტები ვართ, პარტიაში ჩაწერვა—მეორე ხარისხის საკითხია, არსებობს ფორმალური მხარე ამისათვის. ჩვენ არავითარი მოლაპარაკება არ გვქონია კომუნისტებთან, ვინაიდან ჯერ კონფერენცია გვაქვს ჩვენი პოზიციის გამოსარკვევად და მომავალში გამოირკვევა.

ერთი დელეგატი აცხადებს, რომ ძალით მოიყვანეს ჩეკისტებმა,—ლაჩარი ყოფილა ის ჩეკისტებმა თუ მოიყვანეს და ამისთანებს ალაგი არ უნდა ჰქონდეს აქ.

ამის შემდეგ დელეგატი ხარატიშვილი აცხადებს რომ ზოგიერთი ამხანაგები ლაპარაკობენ ნაძალადევად მათი მოყვანის შესახებ ეს შეუძლებელია. ამის გარშემო მრავალი, დელეგატი გამოდის და აცხადებენ პროტესტს და უარყოფითად იხსენიებენ ყველა მათ, ვინც ასეთ პროვოკაციით სურთ კონფერენციის პრესტიჟის დაცემა, **ა. ფარნიევი** და **კ. შენგელია** ასურათხატებენ მენშევიკების აწინდელ არა რევოლიუციონერობას, მათ ღალატს მუშათა კლასისადმი **ფარნიევი** სტატისტიკური ცნობით ადასტურებს, რომ კონფერენციაზე წარმოდგენილია თორმეტი ათასი ძველი პარტიული სტაჟით გამომბრძედილი მენშევიკი. 1917 წელში ითვლებოდა 15.000 წევრი—აქედან 2,000 ბოლშევიკი, დანარჩენი 13,000 მენშევიკი, დაიხოცა 500 მდე, გადაასახლეს 500-მდე, დარჩა 12,000 წევრი. მაგრამ მიუხედავად ამისა მენშევიკურ ცეკას დარჩა ათასი წევრი. ჩვენ მოვითხოვთ ცეკამ ეს ათასიც გამოგვიგზავნოს (სიცილი). ამის შემდეგ გამოდიან კიდევ მრავალი ორატორები და აღნიშნავენ ცეკის მუქარას და პროლეტარულ საქმის მათ მიერ წინაამდეგ ბრძოლას.

**ამხ. ფარნიევი.** (სიტყვა ეკუთვნის კოტე მურმანოვს).

**კ. მურმანოვი.** მთელი რიგი ორატორებისა ზიზღს მიცხადებს, რომ ძალდატანებას ადგილი არ ქონიაო, მაგრამ ვინც ამას ამბობს, ის ან საქართველოში არ ყოფილა და ან თუ ყოფილა შიშით ლაპარაკობს. მე ვიყავი დაჭერილი 21 წელში და სანამ ხელი არ მომაწერინეს, არ გამიშვა ბახტაძემ, რომელიც მევაჭრებოდა ერთი ორი თვით, როგორც მოვაჭრე, თუ ვიღაც რუსეთიდან ჩამოსულ სხვა ხალხს შეუძლიან იცხოვროს საქართველოში, რატომ მე, ქართველ მუშას არ შემიძლია ვიცხოვრო და თავისუფლად ვიარო. მე გარე-კახელი ვარ, საგარეჯოელი. სახლში ჩეკისტები მოვიდნენ და მაიძულეს წამოსულიყავი აქ. ჩეკისტები მენშევიკების განცხადებებს აკრავენ სირცხვილია, რომ თქვენ შლით მენშევიკების ცეკას, იქნებ თქვენ მეორე ინტერნაციონალიც გსურთ დაშალოთ ან კომუნისტური პარტია, ამას ვერ შესძლებთ. კომუნისტური პარტიის ხელი ყველგან ნაძალადევია. ჩვენ დიდი მსხვერპლი გავიღეთ და უცხო ერთი მუჭა კომუნისტების ხელში ვართ. მე ზიზღს ვუცხადებ მოძალადეებს, რომელნიც ნიკოლოზზე უარესი მდგომარეობა შექმნეს და ჩვენი ამხანაგები ციხეებში ჩაყარეს. (ხმაურობა).

**ფარნიევი და რუხაძე.** უპასუხებენ ამხ. მურმანოვს და აცხადებენ, რომ ეს ცეკას მოწყობილია და მის მიერ დავალებით საქმე კეთდება მურმანოვის სახით.

ამის შემდეგ ამხ. მაისურაძე (ტურა) ადასტურებს, რომ არავითარი დავალება არ ჰქონია მურმანოვს პირიქით დეკლარაცია იყო სართიჭალის რაიონის, სადაც საბჭოთა სისტემის და პროლეტარულ დიქტატურის დაცვაზე იყო ლაპარაკი და იგი როგორც წარმომადგენელი ამ რაიონიდან აცხადებს, რომ ა ხ. მურმანოვის ნათქვამი სრული სიყალბეა.

ამის შემდეგ სხდომა სწყდება.

**მესამე სხდომა.**

თავმჯდომარეობს ვ. სიხარულიძე. სხდომა იხსნება სრულ 7 საათზე. სხდომის გახსნამდე ამხ. მარტინოვი მოახსენებს ყრილობას ლენინის ჯანმრთელობის გამოკეთების შესახებ, რასაც ყრილობა ტაშის ცემით და ფეხზე ადგომით ეგებება ამ სასიხარულო ამბავს. (მუსიკა უკრავს ინტერნაციონალს). ლენინი რამდენიმე კვირაში ადგება და შეუდგება მუშაობას—დასძენს მარტინოვი.

ამის შემდეგ ყრილობა უგზავნის ამხ. ლენინს მისასალმებელ დეპეშას—„საქ. სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ყოფილ წევრთა ყრილობა დიდი აღფრთოვანებით შეხვდა ცნობას თქვენი ჯანმრთელობის გაუმჯობესობის შესახებ, ათეულ წლობით ერთმანეთს დაშორებული საქართველოს მუ-

შათა კლასი დღეს კვლავ მთლიან ოჯახს უბრუნდება.

ჩვენი ყრილობა ამის თავდებია, ამ ისტორიულ მომენტში. როცა 12 ათასი ჩვენი მუშა-ამხანაგი მესამე ინტერნაციონალის დროშის ქვეშ ირაზმება და გადაჭრით უარყოფს მეორე ინტერნაციონალის შემთანხმებელი გზას. თქვენი გამოხმაურება და კვლავ საქმესთან დაბრუნება მით უფრო სასიხარულო და გამამხნევებელია ჩვენთვის; ამიერიდან ყოველი თქვენი სიტყვა მხურვალე გამოძახილს ჰპოვებს ჩვენს გულში მთელი ჩვენი რიგები, რომლებიც გამობრძმენდილი და გაკაჟებულია ათეულ წლობის რევოლიუციონურ ბრძოლაში პროლეტარიატის დიქტატურის და საბჭოთა ძალა უფლების განმტკიცება-გამაგრებისაკენ იქნება მიმართული.

გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარიატის სოლიდარობას!

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციონურ პროლეტარიატს და მის საიმაყეს, გენიალურ ბელადს ამხანაგ ილიჩს! (ტაში).

(ინტერნაციონალი).

სიტყვა ეძლევა **ლუკაშევიჩს**, რომელიც აღნიშნავს, რომ ერთი მთლიანი პარტია 1903 წ. გაყოფამდე სოლიდარულად მუშაობდა, მაგრამ ჟორდანია-ჩხეიძის მატყუარა პოლიტიკით ეს პარტია, რომელიც 1917 წ. გაიყო, შემცდარ გზას დაადგა. აკ. ჩხენკელი 1905 წ. გვეუბნებოდა, თუ ბოლშევიკებთან მოგვიხდება ომი არ შევებრძოლებითო, მაგრამ ეს ბრძოლებიც მოხდა. ეს პარტია—მენშევიკური თან და თან იყოფოდა 1903 წ. 1905 წ. 1917 და 1919 წ. 4-ჯერ ჩამოშორდა საუკეთესო ამხანაგები და ეხლა ჩვენ გვიხდება დატოვება არა რევოლიუციონურ პარტიის, პროლეტარიატისდიქტატურა მისალებია. გაუმარჯოს მე-3 ინტერნაციონალს, რომელსაც შევეწირებით!

ამ დროს შემოდის ამხანაგი მიხა ცხაკაია.

(ისმის მუსიკა ინტერნაციონალი) ამხ. მიხა ცხაკაია ესალმება ყრილობას კომინტერნის, ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციის, სოც. საბჭოთა კავშირის და სხვათა სახელით.

იგი ესალმება დელეგატებს, რომ მათ დაალწიეს წყეულ მენშევიზმს და ერთ ოჯახში, მუშურ-გლეხურ მთავრობის დამცველ კომუნისტურ პარტიისკენ ილტვიან, იგონებს ძველს ისტორიას პარტიისას, რომელშიც მენშევიზმი და ბოლშევიზმი ერთად მომქმედნი, გაიყვნენ, ვინაიდან მენშევიკურ ოპორტიუნისტულ გზას, ღია კარების პოლიტიკას ყველასთვის, ვერ ეგუებოდნენ კომუნისტები. ეხებარა პარლამენტარულ სისტემის უვარგისობის საკითხს და დიქტატურის უპირატესობას რევოლიუციის გასამარჯვებლად უსურვებს დელეგატებს, კომუნიზმის დროშის ქვეშ გამარჯვებას (მუსიკა, ტაში).

ამხ. თოდრიშვილი, კ. მახათაძე, როსტომაშვილი და სხვანი აღნიშნავენ, თუ რაოდენად შემცდარ გზაზე ადგნენ და რაოდენად გულის წმინდა გრძნობით და რევოლიუციონური ხელახალი აღტყინებით შეუდგებიან პროლეტარიატის საქმისთვის ბრძოლას.

ფარნიევის და მარტინოვის სიტყვის შემდეგ სხდომა იხურება.

# ახალი ამბები

— **შრომის სასამართლოში.** შრომის სასამართლომ გაარჩია საქმე საბჭოთა სამკერვალოს ფაბრიკის ადმინისტრაციის მუშათა ჯამაგირების მიუცემლობის შესახებ და დაადგინა მომუშავეებს, რომლებსაც ადმინისტრაცია ექვსი თვის განმავლობაში ნორმაზე ნაკლებ ჯამაგირებს აძლევდა, მიეცეთ დანარჩენი ხვედრი ჯამაგირებიც. მუშებს იცავდა მკერავთა კავშირის თავმჯდომარე გრანიკი.

— **ბეჭვდითი საქმის მომუშავეთა კრება.** დღეს, 29 აგვისტოს, საღამოს 5 საათზე, ბეჭვდითი საქმის მომუშავეთა ბიუროს ბინაზე დანიშნულია საერთო კრება ბეჭვდითი საქმის მომუშავეთა ადგილკომების წარმომადგენელთა.

— **ქართული სტენოგრაფია.** პროფესორ ქივატოვსკიმ შეადგინა ქართული სტენოგრაფია, რომელიც შედგენილია უკანასკნელ დამთავრებულ სისტემით ყველა ენაზე უფრო ადვილად შესათვისებელი სტენოგრაფიული ნიშნები. სტენოგრაფის კურსებს ხელმძღვანელობს თვითონ ავტორი პროფესორი ქივატოვსკი. წინასწარი ჩაწერა მიიღება მე-4 ვაჟთა გიმნაზიაში, ბელგიის ქ. № 4, ნაშუადღევის 4 საათიდან 5 საათამდე. 2) პროფესიონალურ სკოლაში, პასკევიჩის ქუჩა, № 13, 6-დან 7 საათამდე. მეცადინეობა დაიწყება 20 ენკენისთვეს.

— **ქართული დრამატიული სტუდია.** მოსკოვის სამხატვრო თეატრის რეჟისორმა ვახტანგ მჭედლიშვილმა, რომელიც ჩამოსულია აქაურ დრამატიულ სტუდიელების წასაყვანად მოსკოვის სტუდიაში, მოახდინა წინასწარი გამოცდები. გამოცდები კარგად ჩააბარეს 9 კაცმა, რომლებიც დაშვებულნი იქნებიან მოსკოვის ქართულ დრამატიულ სტუდიაში.

— **კინო-წარმოების ტრესტი.** ენკენისთვიდან ტფილისში დაიწყებს მოქმედებას კინო-წარმოების ახალი ტრესტი. ტრესტს დასახული აქვს დიდი სამოქმედო გეგმა.

— **გორის აღსადგენად.** საღამო, რომელიც უნდა გამართულიყო გორის აღდგენის კომიტეტის სასარგებლოდ 26 აგვისტოს დაისის ბაღში, გადაიდო 30 აგვისტოსათვის და გაიმართება ფართე პროგრამით.

— **შრომის ბირჟა.** 25 აგვისტოს, შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 681 უმუშავარი, ახლად ჩაეწერა 84 უმუშევარი, მოთხოვნილება იყო 20 სამუშაოზე, გაიგზავნა 31 უმუშავარი.

— **ქართულ ლეგიონის 2 წლის არსებობის გამო.** კავკასიის ცალკე არმიის პოლიტსამართველოს უფროსმა პირველ ქართულ ლეგიონის 2 წლის არსებობის გამო შემდეგი დეპეშა დაუგზავნა: „დიდად ვწუხარ, რომ არ მაქვს საშუალება დავესწრო ლეგიონის დღესასწაულს. გილოცავთ წითელ მოლაშქრეებს, უფროსებს და პოლიტმომუშავეებს და გისურვებთ ნაყოფიერ მუშაობას.

— **სავეტერინარო დარგში მომუშავეთა ყრილობა.** საქართველოს რესპუბლიკის სავეტერინარო დარგში მომუშავეთა ყრილობა დანიშნულია 23 სექტემბერს ტფილისში.

— **ცეცხლის გაჩენა.** 1-ლ სამილიციო ნაწილში ვერის დაღმართზე, № 16, გაჩნდა ცეცხლი და დაიწვა 2 დუქანი. ცეცხლის მქრობელმა რაზმმა ცეცხლი დროზე ჩააქრო.

— **ავტომობილის მსხვერპლი.** ვერის დაღმართზე შოფერის დაუდევრობით ავტომობილმა გადაუარა ქურთის 8—9 წლის ქალს, რომელსაც დაუზიანა ფეხი და გაგზავნილ იქნა საავადმყოფოში.

— **გლეხების გაძარცვა.** სოღანლუღის გზის მიმართულებით მიმავალ გლეხებს თავს დაესხნენ ბოროტმოქმედნი და წაართვეს ფულად 161,000,000 მან. და ნივთები. ბოროტმოქმედნი შეპყრობილია.

— **თავის მოწამვლა.** მე 11-ე სამილიციო რაიონში, პაკრაინის ქუჩა, № 14, თავი მოიწამლა მოქ. ალ. მაგუზბენკომ, რომელიც გადაგზავნილი იქნა მიხეილის საავადმყოფოში.

— **ბინის გაქურდვა.** ამავე სამილიციო ნაწილში, იურევის ქ., № 14, გაქურდული იქნა ს. პატარაიას ბინა, საიდანაც წაღებულია სხვა და სხვა ნივთეულობა ღირებული 1,000,000,000 მანეთად.

— **თავის ჩამოხრჩობა.** მე-13-ე სამილიციო ნაწილში სოფ. წოდორეთში მოქ. ბალა ხანუმ კიზიამ ბაწრით ჩამოიხრჩო თავი. მიზეზი გამოურკვეველია.

— **კიდევ ავტომობილის [illegible]** სამილიციო ნაწილში, 19 [illegible] ქუჩაზე, მი[illegible]ვალ მეურმე გლეხს [illegible] დაუზიანა ფეხი. დაზიანებული [illegible] გაგზავნეს საავადმყოფოში.

— **ვალიუტის კურსი.**

28 აგვისტო.

| | | |
|---|---|---|
| ჩერვონეცი | | 38,500,000 მ. |
| სტერლინგი ეფექ. | | 37,700,000 „ |
| | ჩეკი. | 36,300,000 „ |
| დოლარი ეფექ. | | 8,200,000 „ |
| | ჩეკი. | 7,450,000 „ |
| ლირა | | 5,300,000 „ |
| საბჭოთა ფული | | 19,000 „ |

# პარტიაში

ტფილისის კომიტეტი უკანასკნელად აძლ[ევს] წინადადებას იმ ამხანაგებს, რომლებსაც არა ა[ქვთ] შემოტანილი ერთდროული გადასახადი უმუშევარ[თა] ფონდისათვის, შემოიტანონ ასეთი ორი დღის ვადა[ში].

ტფ. კ—ის მდივანი: **მ. ხეფერთელაძ[ე]**

3 სექტემბრისათვის, სად. 7 საათზე, მოწ[ვე]ულია ტფილისის კომიტეტის გაფართოებ[ული] სხდომა. რაიკომებს და უჯრედებს ევალებათ თით[ო]თითო წარმომადგენლის გამოგზავნა.

ტფ. კ—ის მდივანი: **მ. ხეფერთელაძ[ე]**

30 აგვისტოს, საღამოს 5 საათზე, დანიშ[ნუ]ლია მე-3-ე რაიონის ამხანაგების კრება (კახ. მო[ე]დანი № 2.)

მდივანი: **მ. ხეფერთელაძ[ე]**

# დროა არა მარტო წერის, არამედ საქმის.

დიდი ხნით ადრე ვსწერდი სახალხო სიმღერა-გალობის შეკრების შესახებ; სწერდა სხვებიც.

შეიძლება სხვა და სხვა აზრი და გეგმა გვქონდა, მაგრამ მიზანი კი ერთი იყო:—შესაფერი ყურადღება ხალხურ სიმღერა-გალობისადმი.

სამწუხაროდ არ გაკეთებულა რა დღემდის და არც ღირსეულად ვეკიდებით ამ საქმეს.

რა არის ამის მიზეზი?

ამის მიზეზი, მე მგონია თვით ჩვენა ვართ, ვინც ვემსახურებით საერთო ქართულ მუსიკის საქმეს.

როცა ერთი რომელიმე სწერს ამ საგანზე, მეორე სდუმს და როცა მეორე, მაშინ კი პირველი.

ასეთია ამისი გაგრძელებაც, რომ ერთიან ლაპარაკი იყოს ამ საგანზე, მაშინ, დარწმუნებული ვარ, ასეთ უნუგეშო მდგომარეობაში არ იქნებოდა ჩვენი ხალხური სიმღერა გალობის ამოკრების საქმე. ამ შემთხვევაშიც ყველა ჩვენთაგანს, რაღაც საპირა[ო] თავმოყვარეობა გვემჩნევა. მაგალითი?—რამდენ[ი] გნებავსთ.

1917 წ. ვსწერდი: სახალხო მუსიკის შეკრე[ბის] საქმე, რომ სასურველად მოგვარდეს, საჭიროა მტ[ი]ცე კავშირი გაიბას მუსიკის სპეციალისტებსა [და] ხალხურ მომღერლებთა შორის; ამისათვის დღეს საჭიროა მოწვეულ იქმნას საერთო კონფერენცი[ა], სადაც იქნება გამომუშავებული ერთი სამოქმედ[ო] პროგრამა თქო.

ამ ჩემმა მოწოდებამ მხოლოდ ამხ. ჯაფარ-[...] შას თანაგრძნობა გამოიწვია გაზეთებში, რომელ[იც] იზიარებდა ჩემს აზრს, სხვამ კი არა სთქვა რა.

მე დიდს იმედებს ვამყარებდი ჩვენ ცნობი[ლ] კომპოზიტორებზე. ვამბობდი; თუ ისინი იკადრებ[ენ] ჩვენთან მუშაობას, ჩვენ მათ დიდ მასალებს მი[ვ]ცემთ თქო.

კონფერენციის ინიციატივას გვეგონა იკისრ[...]

# უწინდელი და აწინდელი

## (წარსულის და აწმყოს სურათები)

### 1.

### გ უ შ ი ნ

მძიმე და სახიფათოა ქვის მტვრეველის სამუშაო. რკინის კეტის, წერაქვის მძიმე ხვედის მუდამ ხმარებით მხრები ჩამოწყვეტილი აქვს; მძიმე ლოდების აწევ-დაწევაში და გადატან-გადმოტანაში ფერდები ჩავარდნილი და წელი მოწყვეტილი. ამასთან გამორჩენაც იმდენი არაფერია. ხშირია შემთხვევა, რომ ბასრი ქვის ნამტვრევი სახეში ან თვალში მოხვდება და დააზიანებს, ან კიდევ დიდი ლოდი ფეხზე დაეცემა ან და ხელი მოჰყვება მის ქვეშ და დამახინჯებაც ადვილად ხდება.—ზაფხულში სიცხე პაპანებაში გავარვარებული კლდე ხელსა სწვამს, ზამთარში სუსხიანი სიცივე აყინულებს კლდეს და აძრობს ხელებს. ახლა მუდამ მტვერი თვალებში, თვალების ტკივილი და ხშირად ფილტვების დაზიანებაც. ერთი სიტყვით დიდ გაჭირვებაში უნდა იყოს კაცი, რომ ამ ხელობას მიჰყოს ხელი.

სწორედ ასეთმა გაჭირვებამ აიძულა სოფელ კლდის ძირის მცხოვრები ნიკა ზაქიშვილი ამ ხელობას დასდგომოდა. გარდა გაჭირვებისა აქ იმ გარემოებასაც ჰქონდა ადგილი, რომ ზაქიშვილები მამა-პაპით სულ ქვის მტვრელები იყვნენ. მთელი მათი გვარეულობა ამ ხელობას მისდევდა. ნიკა პატარაობიდანვე იყო ჩაბმული ამ მძიმე მუშაობაში, იმდენად შეეჩვია მას და ისე დახელოვნდა, რომ ვერც კი წარმოიდგენდა, რომ სხვაგვარი რამ მუშაობა მისთვის შესაძლებელი ყოფილიყოს. კარგი გამოცდილებაც უნდა ამ მუშაობას, გარდა სიფრთხილისა და მოხერხებისა, კლდის ნგრევის დროს, აგრედვე კლდის გამოცნობა და ცოდნაა საჭირო. ყველა კლდე კი არ გამოდგება ქვის სამტვრევად. გარეთი პირი კლდისა წვიმისა და ქარისაგან ისეა გადასხვაფერებული, რომ კარგი გამოცდილი და შეჩვეული თვალი უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ გამოიცნოს,—ივარგებს კლდე თუ არა. ნიკა ამაში მართლადაც დახელოვნებული იყო. ერთს კი დააცქერდებოდა ახლად ნახულს კლდეს, რაღაცას გაზომგამოზომავდა, უსუნებდა კიდეც, პატარა კლდის ნატეხს პირშიაც კი ჩაიდებდა, ერთ-ორ ალაგას წერაქვს დაჰკრავდა და მხოლოდ ამის შემდეგ იტყოდა; „ვარგა“ ან „არ ვარგა“-ო.

ოცი წელიწადია, რაც ნიკა ამ ხელობას მისდევს და მართლადაც დახელოვნებული ოსტატია. არამც თუ კლდისძირელები, არამედ თითქმის მთელი იქითა მხარე იცნობს ნიკა ზაქიშვილს და ვისაც შენობისათვის, ან კიბის ან საფლავის ქვა დასჭირდება, მიმართავს უსათუოდ ნიკას. მართალია ქვის გათლა არ იცის ნიკამ, მაგრამ ქვის მოჭრაში, არჩევაში მას ბადალი არა ჰყავს. ქვის გათლა კიდევ სხვა ხელობაა; აქ თავისი ოსტატი და განსაკუთრებული იარაღია საჭირო.

ნიკას „სპეციალობა“ კი მხოლოდ კლდის გაჭრა და ქვის მტრევაა. ბევრსა შრომობს ნიკა. ოცი წლის მუშაობაში, ერთი მკლავი მოტეხილი აქვს, ფეხი ნაღრძობი, პირი სახე მუდამ დასიებული თვალები დაწითლებული და ხელები დამსკდარი და დაკოჟიჟებული, გაზაფხულით და შემოდგომით კარგად ვერა გრძნობს თავს, ხველა აქვს დაჩემებული და სუნთქვაც უძნელდება.

ბევრსა შრომობს ნიკა, მაგრამ ვერ იქნა ქონებრივად წელში ვერ გასწორდა, წვრილშვილით თავს მოხვეული, რვა სულის შემნახველი, ნიკა მუდამ დიდს გაჭირვებაშია; ხელობა იმდენს ვერ იძლევა, რომ ამოდენა ოჯახი ცოტათი მაინც დააკმაყოფილოს.

მეტადრე ბოლო ხანას მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა ნიკა. მუშტარი იშვიათი გახდა. არავინ არას აშენებს, ქვა არავისა სჭირია. ამ ორი წლის წინად ნიკასთან ერთად მუშაობდა კარგი ოსტატი ქვის მთლელი იმერეთიდან ჩამოსული ვარლამა ვარდონიძე. ისეთი კარგი ხელოსანი იყო, რომ უმალ გაითქვა სახელი მთელს რაიონში და ვისაც კი საფლავის ქვა დასჭირდებოდა, ან კიდევ „ძეგლი“ მიმართავდენ რასაკვირველია ვარდონიძეს. ამ რიგად ნიკა ქვას ამტვრევდა და ვარდონიძე კი სთლიდა. მუშტარი ხშირი იყო და ნიკას შედარებით კარგი გამორჩენა ჰქონდა.

ერთ დღეს ვარდონიძეს რაღაც წერილი მოუვიდა სამშობლოდან, იგი სწრაფად აიბარგა და ისე ჩქარობდა, რომ „პაშპორტიც“ კი ნიკასთან დაავიწყდა; ეხლაც ნიკას შინ უგდია ეს პაშპორტი. სულ იმის მოლოდინშია, რომ ან დღეს ან ხვალ ვარლამა დაბრუნდება, ან რაიმე ამბავს გამოგზავნისო. მაგრამ ორმა წელიწადმა გაიარა და ვარლამისა აღარა ისმისრა. კლდის ძირას ოცი ვერსის სიშორეზე, სხვა სოფელში, მუშაობდა სხვა ქვის მტვრეველი და მასთან ქვის მთლელიც. მუშტარი, რა თქმა უნდა, იმას მიესია; ასე რომ კლდის ძირელებიც კი იქ უკვეთამდენ საფლავის ქვებს. დარჩა ნიკა თითქმის სრულიად უმუშევარად. გაჭირვებამ უკიდურესობამდე მიაღწია... აღარ იცის ნიკამ რა ქნას? სხვა ხელობას დაადგეს, ჯერ ერთი არ იცის, მეორე კიდევ მამა პაპით გადმოცემულ ხელობას თავს ვერ დაანებებს. ათასში ერთხელ გამოჩნდება მუშტარი, ან შენობისთვის რამდენიმე საჟენ ქვას შეუკვეთამენ, ან კიდევ ბოძების დასადგმელ ქვებს; თუ არა და ნიკა იძულებულია დღიურ მუშად დაექირაოს ხოლმე ვისმე.

***

სოფელ კლდის ძირის ეკლესიის გვერდით გამოსჩანს რაღაც უცნაური შენობა. ოდესმე ეს „სასახლე“ ყოფილა, მაგრამ დროთა განმავლობაში ისე დამახინჯებულა, რომ ადამიანს საცხოვრებლად ვერას გზით ვერ ჩაითვლება. ორ სართულიანი გახლავთ ეს შენობა. ბევრს ალაგას ქვიტკირის კედელი ჩამონგრეულია და „ფოსტის“ ფიცრით შეუკეთებიათ, ზოგან კედელი ისე „პირღია“ დარჩენილა; აივანის მოაჯირი სულ ჩამომტვრეულია, იატაკის ფიცრები ადამიანის გავლისას ისე ზანზარებენ და იზნიქებიან, რომ კაცი თავს ისე გრძნობს, თითქმის ზღვით მიმცურავ ნავში დგასო და სახიფათოც არის ამ „ბალკონით“ სიარული. „ბალკონის“ ბოძებს ძირები დალპობია და ზოგი მათგანი ისე ჰკიდია ზევითა ჭერზე, მიკვირს კიდეც,—რა იმაგრებს და რას უჭირავს მთელი ეს ოდესღაც ხის ჩუქურთმებით მორთული „ბალკონი“. შენობის საფარი კრამიტი მრავალ ალაგას ჩამტვრეულია და წვიმა, ქარი და თოვლი თავისუფლად ნავარდობენ ზევითა სართულის ოთახებში. ოდესღაც ამ შენობას ლობე ერტყა, მაგრამ ეხლა მხოლოდ ორიოდე ობლად დატოვებული, ვით გაშიშვლებული მათხოვარი, გაშავებული მარგილი თუ მოგაგონებთ ამ ლობეს. ეზო ნაგვით სავსეა, მაგრამ ეზოს ვილა ჩივის, როდესაც შიგნით ოთახები ეზოზე უარესად მონაგვულია. ამ სახლში ცოცხი ხსენებად დავიწყებულია.

ნუ გგონიათ, რომ ამ „სასახლეში“ არავინ სცხოვრობს. როგორ არა: ეს გახლავთ „რეზიდენცია“ ადგილობრივ თავადის გიორგი მყაყეშვილისა და კლდის ძირელები ეხლაც ამ შენობას „ბატონიანთ სასახლეს“ უწოდებენ.

მრავალფეროვანი და საინტერესოა თავად გიორგი მყაყეშვილის „ისტორია“. მამა მისი ოდესღაც „განთქმული“ მდივანი მაზრის სამმართველოსი თადეოზ მყაყეშვილი, თავის დროს შეძლებული და კარგი ქონების პატრონი იყო. მოგეხსენებათ, ძველ დროს მაზრის სამართველოს მდივნის ადგილი რა „შემოსავლიანი“ იყო. ისედაც მოხერხებული და გაიძვერა კაცი, თადეოზი დიდი ხნის სამსახურმა უფრო „გაწვრთნა“ და დაახელოვნა. მოგეხსენებათ ისიც, რომ იმ დროს ხაზინის ფულის ყუთს უცნაური თვისება ჰქონდა, გიდ ცხრა კლიტით დაეკეტათ, მაინც მოხერხებული „ჩინოვნიკ[ი]“ გალებას მოახერხებდა და ფულსაც ისე ამოალ[ა]გებდა, რომ ვერაფერს შეატყობდით. ახლა „ძღვ[ე]ნი“ და ქრთამი „ნატურ გადასახადის“ ანდა ფ[უ]ლის სახით, ერთი სიტყვით, მართალია, თადეო[ზ] სულ მცირე ჯამაგირს ღებულობდა „შტატით“, მ[ა]გრამ მაინც მოახერხა და რამდენიმე წლის განმა[ვ]ლობაში საკმაო ქონება შეიძინა.

ერთად ერთი შვილი შერჩა თადეოზს, გიორ[გი]. მას დაჭკანკალებდა, ანებივრებდა და ფუფუნ[ე]ბაში ზრდიდა. როცა დრომ მოატანა, გიმნაზიაში შეიყვანა, მაგრამ.... გიორგიმ იმედი ვერა გაუმ[ართა]ლა. მიუხედავად იმისა, რომ გიმნაზიის დირექტო[რს] და გიორგის მასწავლებლებს, ყოველ შობა ახალ [წე]ლიწადს და სააღდგომოდ „მსუქანი“ ძღვენი მი[ს]დიოდათ ხშირად „დაბეჭდილ პაკეტის“ თანდარ[თ]ვით, გიორგიმ შვიდი წლის განმავლობაში ძლ[ივს] ძლიობით მესამე კლასს მიაღწია და შემდეგ კი [ა]ღარამ უშველა და მამა იძულებული გახდა პირმ[ო]შვილი შინ წამოეყვანა. თხუტმეტი წლის გიო[რგის] შინ დაბრუნებისას განცხრომასა და ფუფუნე[ბა] მიეცა.

ამისათვის საკმაოდ მომზადებული იყო. პა[პი]როსის წევა, ღოთობა, კარტის თამაში, გარყ[ვ]ნილობა,—ყველა ამის კურსი კარგად ჰქონდა [შე]სწავლილი. მშობლები კვლავ ანებივრებდენ და „[ჯი]ბის ფულს“ არ აკლებდნენ.

მაგრამ ამ ქვეყნად ყველაფერი წუთიერი [და] ცვალებადია. ძველი მაზრის უფროსი დაითხოვ[ეს] ახალი დანიშნეს. ამ ახლად დანიშნულმა უფრ[ოსმა] ახალი თანამშრომლებიც მოინდომა და ისეთი „[...]რუჭები“ მოუჭირა თადეოზ მყაყეშვილს, ისე გად[...]კიდა, რომ არამთუ სამსახურიდან გასვლ[ა] აიძულა, არამედ პასუხისგებაშიაც მისცა მთელი [...]გი ბოროტმოქმედებისათვის. თადეოზმა უბედუ[რე]ბა და სირცხვილი ვერ აიტანა და ვიდრე მისი [საქ]მე გაირჩეოდა სასამართლოში, განუტევა სული [და] თვისი გიორგი ობლად დასტოვა. დარჩა გიორ[გი] ბატონ-პატრონი დიდი ქონებისა. დიდის ამბით [და]ასაფლავა და გამოიგლოვა მამა, დედა უფრო ა[დ]რე გარდაეცვალა. შემდეგ გიორგი შეუდგა მამისგან დატოვებულ ქონების „მართვა გამგებლობას“ სამი წლის განმავლობაში, როდესაც გიორგი [სრუ]ლი ოცი წლისა შეიქმნა, მართვა გამგებლობის [ნა]ყოფი ის იყო, რომ „მემკვიდრეობისაგან“ გ[არდა] ორ სართულიან სახლისა, აღარაფერი გააჩნდა. [...]მული დაგირავებულ გადაგირავებული „[...]გში“ გაუყიდეს, ფული დუქან — ტრაქ[ტი]რებში გაქრა, ავეჯეულობა და საქონე[ლი]

ბდა ცნობილი მუსიკოსი ზაქარია ფალიაშვილი, ყოფილი ფილარმონიული საზოგადოების გამგეობის წევრი, თუ თავმჯდომარე და კიდევაც მას მივმართე გაზეთის საშუალებით, მაგრამ ეს ხმა დარჩა ყველასაგან უყურადღებოდ.

ამის აუცილებლობას და საჭიროებას ყველა ხედავდა, მაგრამ ნებით თუ უნებლიეთ, ეს არ მოხერხდა.

გულახდილად უნდა ვსთქვა—არ ისურვეს.

სამაგიეროთ ზედა პირი შეიყარა ტფილისში, დაარსდა მუსიკოსთა კავშირი და სამოქმედო პროგრამაც გამოიმუშავა და გამოსცა.

სამწუხაროდ მათ შორის ხალხურ მომღერალს არ მიუღია მონაწილეობა. ისე მათი სამოქმედო პროგრამა ისახავდა მიზნათ ხალხურ სიმღერების შეკრებას, მოვლას, პატრონობას და გავრცელებას.

კეთილი და პატიოსანი!! ეს პროგრამა მოწონებულ იქნა დამფუძნებელ კრების ხელოვნების კომისიის მიერ, ჩვენ დავინახეთ ამ საქმის მეთაურებად სპეციალისტები მუსიკოსები.

ეს ასეც უნდა მომხდარიყო. ჩვენ გვესმა ყვირილიც, რომ აჰა ჩვენი ეროვნული მუსიკის განვითარება და წინსვლა უმაღლეს წერტილამდე ალწევსო.

ვიხილეთ ნეტარ ხსენებული „კოპელას“ მოგზაურობაც, რომელმაც ბ. ი. აბაშიძის აზრით, პირველი ზარი ჩამორეკა საქართველოს სამრეკლოზე“.

ზოგიერთებს გვაკვირვებდა ეს სიტყვები; ვეკითხებოდით ერთი-მეორეს: რაშია საქმე? თუ ასეთ მოგზაურობას უწოდებენ პირველ ზარს, მაშინ რაღა უნდა ეწოდოს იმ მომღერალ გუნდების მოგზაურობას, რომლის დამსახურება არა თუ ჩვენი ქართველ საზოგადოების წინაშე, არამედ უცხოელებისათვისაც ცნობილი იყო? მერე არა გუშინ, ამ თავისუფლების დროს, არამედ მაშინ, როცა ყველაფერი ქართული ბრჭყალებში იყო მომწყვდეული და სულსა ლევდა; (აღმოსავლეთში—ალნიაშვილი, რატილი, კავსაძე; დასავლეთში—ლოლუა) მაგრამ რა გაეწყობა...

ჩვენ კერას მოშორებულნი, ჩვენი მუსიკოსები, ალბათ, ფიქრობენ მათით იწყება ყველაფერი საქართველოში. მათ ვერც გავამტყუნებთ.

ჩვენ არ ვამბობთ ისინი ჩვენი სასახელო და მამულის სასიქადულო შვილები არ იყვნენ, ან სპეციალური მუსიკა არ იყოს მათის იყალობით საქართველოში წამოწყებული, მაგრამ სახალხო და ხალხურ მუსიკას კი, უკაცრავად არ ვიყო, და, ვერაფერი შესძინეს, თუ მეტად არ დახურდავდა.

1921 წ. შეიცვალა ხელის უფლება. საბჭოთა სახელმწიფო ჩნდება ამ დარგის დიდი ხელის შემწყობად და პატრონად: დაარსდა ს. გან. კ. სახელოვნო კომიტეტი, სადაც იგივეობაა, რაც წარსულში, თუმცა პიროვნებები შეცვლილან.

ამ კომიტეტის კოლეგიაში ყველა დარგის ხელოვანთა წარმომადგენელთ ჰქონდათ ადგილი, გარდა ხალხურ მომღერლებისა.

ძუკუ ლოლუა.

(დასასრული იქნება).

## გაფანტულ ძმებს

დავკარგე თქვენი ძვირფასი თავი.
ნუ თუ არავის არ გაგახსენდი?
დღეს მე ნუგეშად მყავს ხიდის თავი,
სტეფანო აღა, ლეონ ეფენდი!..

ალბად ფეხების ტკივილს გრძნობთ დილით
ახლად მოკირწყლულ ბაღის ხრეშისგან?
თქვენს სადღეგრძელოს მონაყილ ღვინით
ვსვამ ძველ, გაბზარულ აზარფეშიდახ...

თუ ძველ ადათებს წაეპოტინეთ
დილა წითელ მღვდლით უნდა დანავსო;
ფოთს სიამაყეთ დარჩა ფოტინე
და ფერ მიხდილი საწყალი ვასო...

იყავით კარგად, იყავით დიდი!
ცხელების ორთქლში იშვა ციება
მე მალე, ალბად, რითმებს გავყიდი,
რაც არასოდეს მეპატიება.

დავით დოლიძე.

# პოეტი სანდრო ცირეკიძე

**(1894—1923)**

ქუთაისში არის ყოველგვარ შემოქმედების გენეზისი. ეს მრავალჯერ აღნიშნეს. შეიძლება მისი ხანგრძლივი პრიმიტიულობა არის ნიღაბი, შიგ დაფარულ კონტრასტიულ საოცრების. საქართველოში არც ერთი ქალაქი ისე არ დამწვარა შემოქმედების მწვანე ცეცხლში, როგორც ქუთაისი. პირველათ აქ იჩენს თავს გაშლილი სიტყვა, შემდეგ მოდის საქართველოზე, როგორც ნიაღვარი. ქუთაისის მკერდზე ჩნდებიან პოეტები დაწყევლილ ბედით და შემოქმედების ფონზე არის განუწყვეტელი წირვა ლოცვათ აჰრილ ნიამორების.

დიდი დანაკლისია სანდრო ცირეკიძის და შალვა კარმელის სიკვდილი ასე თანმოყოლებით, ზოგადათ პოეზიაში და კერძოთ საქართველოსთვის. ეს ორი პოეტი ქუთაისის ჟანგბადით ცოცხლობდენ, თუმცა ბოლოს აღარ ყოფნიდათ სუნთქვისთვის და ტუბერკულიოზის სისხლში დაიღრჩვენ.

ვოლტერი ერთ თავის თხზულებაში ჩვეულებრივი სატირით ადამიანს ადარებს მანქანას, რომელზედაც თუ ზეთით ვიმოქმედებთ ამუშავდება თუ არა დაჟანგებული უძრავად გდიაო. ადამიანში ზეთის მაგიერობას ღვინო ასრულებს და სხვა დამთრობი სურნელებანი, რომელთა მოქმედებით ადამიანი უკვდავებაზე ლაპარაკობსო. ამ შემთხვევაში ღვინო შეცვლილია ჰლექით, რომელიც საშუალებაა ინტენსიურ მგრძნობელობისთვის და შეიძლება პოეტმა გაიხადოს საექსპლოატაციო ობიექტად. მაგრამ ცირეკიძეში და შალვა კარმელში არ იყო ასეთი ყალბი ხაზი, ისინი მოცემული იყვენ ბუნებრივი სათუთი ნერვებით და მთვარეულ შემოქმედებით. მათთვის პოეზია უაღრესად განცდა იყო და სიცოცხლის პრობლემა.

სანდრო ცირეკიძის „მთვარეულები“ და შალვა კარმელის „ბაბილონი“ უძვირფასესი საუნჯეა ქართულ პოეზიაში, პირველი, როგორც ერთიანათ შედევრი და მეორე, როგორც ვიზიონერული ხილვა სამუდამოდ დანგრეულ ქალაქის, სადაც კარმელს, რღვევის შპენგლერივით წინათგრძნობამ ათქმევინა: „ჩემში წარსული მოტრიალდა, ასე მგონია.

რომ ეს ქვეყანა დასანგრევი „ბაბილონია“-ო. მაგრამ ამაზე შემდეგ წერილში „შალვა კარმელ“-ზე.

სანდრო ცირეკიძეში იყო შესაბამება ნიჭის და კულტურის. მისი მისტური სული ინტელექტით იყო დაძაბული და გაქანებული. მე ვიტყოდი, რომ სანდრო ცირეკიძე მათემატიკურად განიცდიდა პოეზიას, ის იძლევა პოეტის ფორმულას: „მარცვლების ერთი ზომით გადამთვლელი არაა პოეტი. პოეტია ის, ვინც იგრძნო ფენომენალობა სამყაროსი და აჩრდილი მარადიულის, („მეოცნებე ნიამორ. № 5). პოეტია ის ვინც კოშკები აუგო ჟამთა სიავეს და როსტომ მანველიძე ბუხართან გაათბო“.

ჭეშმარიტათ, პოეტი დინამიური მოაზროვნეა, რომელიც სიცოცხლის გზა-ჯვარედინზე სდგას, ცხოვრების ყოველგვარ მოვლენებს ერთ ღერძზე კინძავს და ამ მოვლენებით დასერილი ელის ტანჯის მოვარდნას, როგორც მაგნიტურ ქარიშხალის, სადაც საბედისწერო სიყვარული თუ სიძულვილი პოეტის მოვლენებთან ასახავენ ეკრანზე მის გაწვალებულ და გაორებულ სულს. ზოგი ინუგეშებს გამოფიტული გიპერბოლით, რადგან ყველა სმერდიაკოვივით ვერ დაეკიდება ლურსმანზე, თავის დასაღრჩობათ. არის შეუვალი ტრაგედია შემეცნების ზღვარის მიღწევის, როდესაც გრძნობ რაციონალურ ფუნქციათა დაწყვეტას, და საშველათ მოდის მისტიკა შემრიგებელ აჩრდილებით „ინდივიდი მოვლენა იშლება მარადიულში“ (ცირეკიძე) და აუცილებელი ხდება „მიწასთან დაბრუნება“ ტალახიან ამბორისათვის. ალბათ ამას განიცდიდა გაგიჟებული სკრიაბინი და ჰლექიანი ცირეკიძე.

სანდრო ცირეკიძის [illegible] დამოთ გაიმართა წელში. [illegible] პირება პროზის პოეზიისთან [illegible] მათი, თქმის დაწურვის სათაურამდე და პოეზიის ნაპირების ლიტერატურიდან გადამიჯვნა. მაგრამ ეს შეეძლო მხოლოთ სანდრო ცირეკიძეს, რომელიც ყველაზე უფრო დახვეწილი იყო პოეზიისთვის. უეჭვოა გამარჯვება პოეტის, რომელმაც შესძლო უძნელეს ფორმის, მინიატიურის დამორჩილება ზღვაურ გრძნობებისთვის და რომანის შეკვეცა.

მისი სტრიქონი არ არის ზედმეტი და არის კვინტ-ესენცია უამრავისა. შესაცნობია ესთეტიური სიღრმე პოეტის, რომელიც ფილტვის ტკივილით ამოწყვეტილ სტრიქონებს სიღარიბეში ძვირფას ქაღალდს ანდობდა. მიმზიდველია ყოველი მისი „კირჩხიბის“ გამოცემა. თუმცა სანდრო ატყობდა „წიგნების მელანქოლიას“ ვიტრინებში.

სანდრო ცირეკიძე ეკუთვნოდა „ყანწელთა“ ორდენს, მაგრამ სხვა ყანწელი პოეტივით არ იყო კარჩაკეტილი და მან დაარსა ქუთაისში მწერალთა კავშირი. საინტერესო იყო სანდრო, როგორც პიროვნება, უცხო, ნაზი, სპეტაკი განდეგილური სიდინჯით და უჩვეულო ინტიმობით, უთუოთ ბევრს იტყოდა თავის გატანჯულ სულიდან, რომ მიელო ფილტვებს სისხლი და დასცლოდა.

ჩვენ ყოველთვის გვახსოვს „მთვარეულების“ ლანდების პერსონალი, გაფითრებულ სახეებით. ქალაქის ბაღის ჰლექიანი ხეები, გიჟს რომ მთვარის ნაჩუქარი ამოართვა და შემდეგ spleen ქარში სიყვარულზე, მზიური ლაია, ოქროს კავებს ობი ასველებდა წითელ ღვინოში ან ცოდვებით მძიმე ტაძრის კედლები, მოზაიკის შვთისმშობელით და ბაგრატის ტაძრის ნანგრევზე სიზმარეული დედოფალი გელათზე ცქერით, ამ ცასავით ლურჯი თვალებით.

ვიცით მარტოობა ბალახვნის ქუჩის, დაუვიწყარი „პეიზაჟი“ და მარადიული „კენტი“ სანდრო ცირეკიძე, რომელიც ბევრჯერ გვინახავს ქუთაისის ბაღის ყრუ კუთხეში დამჯდარი მარტო, დაბინდული ოცნება პოეტის, სახეთა სიმბოლიკით.

ბოლოს და ბოლოს პოეზიაც კლასიურია და შეიძლება პოეტიც გაიზომოს კლასიური მასშტაბით. მაგრამ არსებობს საერთო ჯადოსნური წრე, ყველა ადამიანისთვის, დამღუპველ ფატალურ თემით: სიცოცხლის შეფასება და ფილოსოფიური პესიმა. და ამას ვერ მიხვდებიან ფილისტერები, ასე იტყოდა ამ ადგილს სანდრო ცირეკიძე.

მთვარეულივით ჩვენც ბევრი კოლოფები დავაგროვეთ, სანდროს ნიჭიერ ფანტაზიის ბუტაფორიული სიმდიდრით, მაგრამ ჩვენს ირგვლივ სანდრო აღარ იყო. გვეტკინა ჩვენ: ავტირდით.

შეიძლება მისი ზღაპრების დედოფალი, დიდი ძეგლის ჩრდილში რომ მიეფარა და ვეღარ დაინახა, შეიძლება ოდესმე სანდროს ნამდვილ ძეგლთან მივიდეს გლოვისათვის და სანდრო ცირეკიძე ამას მართლა ვერ დაინახავს.

დ. ცაგარელი.

---

თან გადაყვა და ერთს მშვენიერ დღეს გიორგიმ გაკვირვებულმა აღმოაჩინა, რომ მას პურის ფულიც არ გააჩნია. აქედ ეცა იქიდ ეცა გიორგი და ბოლოს, როგორც იყო, სოფელს თავი შეაბრალა და სოფლის „მწერლად“ დააყენეს. ხელი კარგი ჰქონდა და რუსული იცოდა. ეს კი ამ თანამდებობისთვის საკმარისი იყო, მით უმეტეს რომ გიორგის „პროტექცია“ გაუკეთა ადგილობრივმა ბოქაულმა, რომელიც მის მამისაგან დავალებული იყო.

ორ წელიწადს განაგებდა გიორგი სოფლის საქმეებს და ისე გაივარჯიშა ამ საქმეებში, რომ მამასახლისი უმისოდ ფეხსა არა სდგამდა. აღმოჩნდა რომ გიორგის მამას თავის შვილისათვის, გარდა ქონებრივი მემკვიდრეობისა, თავისი გაიძვერა და მოხერხებული ნიჭიც უანდერძია. გიორგი სწრაფ გაეცნო გარემოებას და „სწორი ალღო“ აუღო. მექრთამეობაში, სოფლის ფულის ფლანგვაში მამას არ ჩამოუვარდებოდა მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მამა „ნაშოვარს“ ინახავდა, შვილი კი სწრაფ ანიავებდა. ორი წელიწადი გაუძლო სოფელმა გიორგის „მწერლობას“, მაგრამ მეტი ვეღარ შესძლო. მოთმინებას დაჩვეული სოფელი მოთმინებიდან გამოიყვანა გიორგის გაუმაძღარმა მადამ. გიორგი თანამდებობიდან დაითხოვეს. დარჩა გიორგი უსახსროდ და დიდს გაჭირვებაში ჩავარდა. მაგრამ მალე ბედმა კვლავ გაუღიმა. ბოქაული გამოსცვალეს და ახლად დანიშნულ ბოქაულს გადამწერი სჭირდებოდა. ძველმა ბოქაულმა კვლავ მადლი მიიღო და რეკომენდაცია გაუკეთა გიორგის. გიორგი კვლავ სამსახურში შევიდა. ნათქვამია „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია“-ო და გიორგიმაც ჩვეულებას ვერ უღალატა. ახალი ბოქაული სწავლით და განათლებით ვერ დაიკვეხდა. იგი გუბერნატორთან „მცველად“ იყო და ისე შეაყვარა თავი, რომ მადლიერმა „ნაჩალნიკმა“ ბოქაულობა მოუხერხა. გიორგიმ, რა თქმა უნდა, სუნით იგრძნო თუ რა გვარ უფროსთან აქვს საქმე და მოკლე ხანში სრულიად „მოიბირა“ თავისი უფროსი. ბოქაული ძლიერ უმადლოდა გიორგის, მხოლოდ ის უკვირდა, რომ მის თანამდებობას „შემოსავალი“ ძალიან ნაკლები ჰქონდა. გაგებული კი იყო, რომ ბოქაულები ძღვენით და საჩუქრებით ივსებიანო. ათასში ერთხელ თუ მიართმევდა მთხოვნელთა სახელით გიორგი ბოქაულს ხან ქათამს, ხან ბატკანს, ხან კიდევ ორ სამ მანეთს. უკვირდა ბოქაულს, ბრაზი მოსდიოდა „შეუგნებელ ხალხზე“ „უფროსების პატივისცემა არ იციან“-ო და მაგრად უჭერდა მთხოვნელებს. შემთხვევამ, რომელიც ჩვენს ცხოვრებაში საზოგადოდ დიდი ადგილი უჭირავს, აუხილა თვალები ბოქაულს. გიორგი სადღაც გაციებულიყო, ავად გახდა და სამი ოთხი დღის განმავლობაში სამსახურს ვერ ასრულებდა. ამ სამ ოთხ დღეში ბოქაულს იმდენი ქრთამი და ძღვენი მოუვიდა, რამდენიც რამოდენიმე თვის განმავლობაში არ მიეღო. განიკურნა გიორგი და დაუბრუნდა თავის საქმეს, მხოლოდ ეხლა ბოქაულმა ფარულად დაუწყო თვალის დევნა და მოკლე ხანში დარწმუნდა, რომ ყველა ის ძღვენი და ქრთამი, რაც „სამართლიანად“ მას უნდა ეკუთნოდეს, მუდამ გიორგის ჯიბეში ჩადიოდა. ძალიან სჭირდებოდა ბოქაულს გიორგი, მაგრამ ეს მაინც ვერ მოითმინა და... გიორგი კვლავ უადგილოდ დარჩა. გიორგი ცხოვრებაში გამოცდილი იყო, ბიუროკრატიის ხრიკებიც შეისწავლა. მას ხელთ ჰქონდა არა ერთი საბუთი ბოქაულის უკანონოდ ქცევისა და ამიტომ იგი ერთს საღამოს ესტუმრა თავის ყოფილ უფროს და მათ შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

—„თქვენ სამსახურიდან დამითხოვეთ და ულუკმაპუროდ დამტოვეთ მაშინ, როდესაც თქვენს წინაშე დიდი დამსახურება მიმიძღვის“...

—„მეტად საზარალო იყო ჩემთვის თქვენი თანამშრომლობა, მატყუებდით და მპარავდით“...

—„კარგად მოგეხსენებათ, რომ სამი თუმნის ჯამაგირით ვერ ვიარსებებდი; მთელს მიწერ-მოწერას ვაწარმოებდი და არა ერთი უკანონობა ჩამიდენია, თქვენი სურვილისა და ბრძანების ძალით გახსოვთ“... და აქ გიორგიმ ჩამოუთვალა ბოქაულს რამდენიმე „საქმე“, რომელთა გამჟღავნება კეთილს არ უქადიდა ბოქაულს, არც დაუმალა გიორგიმ, რომ თუ „კომპენსაციას“ არ მიიღებს სამსახურიდან დათხოვნის გამო, იგი იძულებული იქნება ეს „საქმენი“ აცნობოს ვისაც ჯერ არს.

—„თქვენც ხომ მონაწილე ხართ ამ საქმეში? —უპასუხა შეშინებულმა ბოქაულმა; „თქვენც დაისჯებით!“...

—„მე არაფა ვკარგამ, მაინც შიმშილით უნდა მოვკვდე; თქვენ კი, ბატონო ბოქაულო, ბევრს დაჰკარგამთ“-ო, მიუგო გიორგიმ.

ბოქაული შეშინდა და დაიწყო ვაჭრობა „კომპენსაციაზე“. ბოლოს და ბოლოს ბოქაულმა აღუთქვა გიორგის, რომ ის ამ ორ სამ დღეში მოუხერხებს ადგილს სამაზრო მომრიგებელ მოსამართლესთან, სადაც უფრო მეტი „გამორჩენა“ ექნება. ბოქაულმა დაპირება აასრულა და მოუხერხა გიორგის მაზრის მომრიგებელ მოსამართლეს კანცელარიაში თარჯიმანის ადგილი. იმ დროს სასამართლო რუსულად აწარმოებდა საქმეებს და „სუდიაც“ რუსი იყო, რომელიც ქართულ ენას თაკილობდა კიდეც. გიორგი მალე გაეცნო ადგილობრივ პირობებს, კარგად მიხვდა თუ რა შემოსავლიანი ადგილი ჩაიგდო ხელში. ჯამაგირი მართალია მცირე ჰქონდა, სულ რაღაც ოცდა ხუთი მანეთი, სამაგიეროდ გამორჩენა და არა ლეგალური, ან როგორც თვით გიორგი ამბობდა „შტატზევითი“ ჯამაგირი მეტად უხვი იყო. უვიცი და შეუგნებელი სოფლის ხალხი, ვისაც კი სასამართლოში საქმე ჰქონდა, პირველ ყოვლისა, რასაკვირველია, თარჯიმანს ან, როგორც უწოდებდნენ, „პერევოდჩიკს“ მიმართავდა და ხშირი იყო ასეთი საუბარი.

—„ნეტა, კნიაზო, ჩემი საქმე როგორ იქნება?“ ეკითხებოდა ხვეწნით სოფლელი გიორგის.

—„მოიცა, შენ ვის უჩივი? რაზე უჩივი? შენი გვარი?..“ დაჰკითხავდა გიორგი...

განმარტების შემდეგ: „ჰო, ბიძია, შენი საქმე მეტად მძიმე საქმეა, აქ ოსტატურად უნდა მოქცევა... სუდიამ ქართული არ იცის და კარგი გადათარგმნა უნდა, თორემ ვერას გაიგებს და საქმეს წააგებ. კარგ თარგმანს საქმის შესწავლა სჭირია, მაშასადამე დროს და შრომის დაკარგვა; ხომ გესმის რასაც გეუბნები?“ ეკითხებოდა გიორგი.

—„დიახ, შენი ჭირიმე, კნიაზო, მიირთვი შენი გასამრჯელო, ოღონდ კი საქმე გამიკეთე“. პატარა ვაჭრობის შემდეგ შეთანხმდებოდნენ, გიორგი დაუნიშნავდა დროს პასუხისათვის და, რა თქმა უნდა, საქმეში არც კი ჩაიხედამდა. დანიშნულ დროს მოვიდოდა საბრალო სოფლელი და გიორგი კიდევ მოსთხოვდა ფულს, რადგანაც მისი სიტყვით საქმე იმგვარია, რომ თუ ზოგიერთ გავლენიან პირს, ამას საიდუმლოდ ეტყოდა, გიორგი, რაიმე არ ჩაუჩხრიალე, საქმეს წავაგებთო. ერთი სიტყვით ყოველ მთხოვნელს, მომჩივარს, თუ ბრალდებულს, გიორგი უწყალოდ სძარცვავდა და წარმოიდგინეთ ბედშავი სოფლელები კიდევ მადლიერნი იყვნენ მისი: „ის რომ არა გვყავდეს; ვერას გავხდებითო!“.

გიორგიმ კიდევ ერთი ახალი წყარო აღმოაჩინა შემოსავლისა. ეს გახლდათ აგრედ წოდებული „ღერბის მარკით“ ვაჭრობა. სასამართლოში მოსაქმეს მუდამ სჭირია მარკა და გიორგი ცოტაოდენი პროცენტის დამატებით ვაჭრობდა მარკებით. გარდა ამისა ყოველ მთხოვნელს, გინდა ყველა მისი საბუთების ქაღალდები უკვე მარკა დაკრული ყოფილიყოს, გიორგი მაინც ახალი მარკის დაკვრას მოსთხოვდა. „სხვაგან სხვა არისო და სასამართლოში კი ყოველ შემოსულ ქაღალდს მარკა უნდა დაეკრას“-ო. ამ შემთხვევაში თვითონ გიორგის მარკა არასოდეს არ მოეძებნებოდა და მთხოვნელი ფულით იხდიდა მარკის ფასს. ფული, რასაკვირველია, გიორგის ჯიბეში ჩადიოდა და მარკა კი ქაღალდს არ მიეკარებოდა. ბევრს შოულობდა გიორგი, მაგრამ მთელი შემოსავალი ჩვეულებრივ ლოთობაში, კარტის თამაშობაში და გარყვნილობაში ქრებოდა. სახლი ენგრეოდა სოფელში, ვალით ყელამდე სავსე იყო, მაგრამ არც სახლის შეკეთებისათვის და არც ვალების გადახდისათვის ზრუნავდა გიორგი. უფროსებთან კარგს განწყობილებაში იყო. მოგეხსენებათ, იმ დროს დროზე მირთმეული შემწვარი, ვარიები, მსუქანი ინდოური, გოჭი და სხვა ამ გვარი ადამიანის კარიერისათვის მეტად კარგი საშუალება იყო. ყოველი ეს გიორგის სოფლელებისაგან მოსდიოდა და ის კი უნაწილებდა უფროსებს.

მაგრამ კიდევ ერთხელ უნდა გავიხსენოთ, რომ ამ ქვეყნად ყოველისფერი ცვალებადია და „ფორტუნაც“ მეტად შურიანი არსებაა. შეშურდა გიორგის ბედნიერება და ერთ მშვენიერ დღეს გიორგი კვლავ „უადგილოდ“ დარჩა. საქმე ასე მოხდა.

გიორგიმ უფროსის წინაშე ისეთი ნდობა მოიპოვა, რომ სახაზინო ფულების მიღება-გაგზავნა მას დააკისრეს. ერთ დღეს სასამართლოდან ხაზინიში უნდა გაგზავნილიყო საკმაოდ დიდი თანხა. გიორგიმ ჩაიბარა ფული, მაგრამ ფოსტაში კი არ წაიღო, არამედ იფიქრა: „მოდი ერთი ბედსა ვცდი კარტში“-ო, თუ დავატყვე, რომ არ მოდის კარტი, დროზე თავს დავანებებ; მაგრამ გული მითქვამს, დიდ ფულს მოვიგებო“. მაგრამ მოგების მაგიერ წააგო რაც თვითონ ებადა და აგრეთვე მთელი ჩაბარებული თანხა და კიდევ ვერ დაჰფარა წანაგები.

მეორე დღეს. გამოფხიზლებული გიორგი აქედ ეცა იქიდ ეცა, ეგები ვიშოვნო, მაგრამ ფულიანი ხალხი გიორგის კარგად იცნობდა და აბა ვინ ასესხებდა. მეტი რა გზა იყო, მივიდა და გამოუტყდა უფროს, რომ მიბარებული ფული დაკარგა და თუ ადროვებენ რამდენიმე დღეში შეავსებს დაკარგულს, დანიშნეს გამოძიება და აღმოჩნდა, რა თქმა უნდა, რომ ფული დაკარგული კი არა, კარტში წაგებული იყო, გიორგი სამსახურიდან დაითხოვეს, სამართალში ვერ მისცეს, რადგანაც ფულის ოპერაციების წარმოება მას უკანონოდ ჰქონდა დაკისრებული და ამისთვის უფროსიც პასუხს აგებდა.

გიორგი დაბრუნდა თავის სოფელში და კვლავ დიდს გაჭირვებაში ჩავარდა.

(შემდეგი იქნება)

ი. გედევანიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კორესპონდენცია

### ქ. ბორჯომი

როგორც ყველგან, ისე ბორჯომშიდაც საშინელი სისწრაფით იწევს წინ[ს]ურსათ-სანოვაგის ფასები. პური—გირვანქა ამ ერთი კვირის წინედ ღირდა 150,000 მანეთი, დღეს 300—350 მანეთამდე აიწია. ყველი—გირვანქა 1.200.000 მან., კარაქი—2.500,000 მან., კვერცხი 150,000 მან. მოიმატა ფასებმა ყველაფერზე და განსაკუთრებით პირველ მოთხოვნილების პროდუქტებზე.

მოაგარაკეებს თხოვნა შეუსრულდათ და 3—4 მადლიან მზიანი დღეების შემდეგ უკვე დაიწყო ხელ-ახლა წვიმები. ამ წვიმიან ამინდებში საკურორტო სამმართველო ვერ მოაწყობს სეირნობას, სეზონის ბილეთები გამოდგება და მოაგარაკეებს შეუძლიათ ისარგებლონ მინერალური წყლებით.

ეტყობა ხშირი სტუმარი ყოფილა ბორჯომისა—ცეცხლი. 21 აგვისტოს ღამით 3 საათზე გაუჩნდა ცენტრალურ სამკითხველოს ცეცხლი. თოფის სროლით და ეკლესიის ზარების რეკვით ისეთი განგაში ასტეხეს გუშაგ მილიციონერებმა, გეგონებოდათ რაღაც დიდ უბედურებას წააწყდა ბორჯომიო, მაგრამ საქმით კი უბრალო ცეცხლი გამოდგა, რასაც არაფერი ზიანი არ მოჰყოლია და ადვილი ჩასაქრობი იყო. ამნაირი ცეცხლის საბრძოლველად საკმარისი იყო სრულიად მცირე რიცხვი ცეცხლის მქრობელთა და მე კიდევ ვიმეორებ ჩემ აზრს, რომ გაცილებით უკეთესი იქნებოდა საკურორტო სამმართველოს ეზრუნა იმაზე, რომ ბორჯომში მოწყობილი ყოფილიყო ასეთი გუნდი, რომელიც საჭიროების დროს უზრუნველყოფდა მშვიდობიან მოქალაქეებს.

ვერ შესჩივლებენ განგებას მოაგარაკეები, რომ მათ გასართობები არ ჰქონდეთ; ჯერ მარტო კონცერტები იმდენი იმართება, რომ უკვე მოსაბეზრებელი ხდება. გაიმართა ამ ახლო ხანებში შემდეგი კონცერტები: ბოკოვასი და საბინინისა, სამი კონცერტი თამარა წერეთლისა და ანნა არლოვასი, კონცერტი შეველიევისა, კონცერტ-კაბარე ვილაც ტარუმოვისა და სხვ.

ადგილობრივ სააგარაკოდ მოსულ ქართველ ინტელიგენციის უმეტეს ნაწილს ეტყობათ მეტად გულგრილობა და არ აინტერესებთ „ქართული" გასართობები, ქართული დისპუტები და სხვ. გამოცხადებული იყო აფიშებში, რომ მიხ. ქორელის დადგმით რუსთაველის თეატრის მსახიობების მიერ წარმოდგენილ იქნებოდა ადგილობრივ ეკლესიის გალავანში შ. დადიანის პიესა „გუშინდელნი". წარმოდგენის დღედ გამოცხადებული იყო ხუთშაბათი. საზოგადოება არ მოვიდა მიუხედავად კარგი ამინდისა. გადასდეს შაბათისთვის, საზოგადოება არც შაბათს მოვიდა და თავისთავად იძულებული შეიქნენ პიესა მოეხსნათ; გადის მთელი ორი კვირე და იმედ დაკარგული მსახიობები აღარ ფიქრობენ გამართონ რამე ბორჯომში.

გამოცხადებული იყო, რომ კვირას 19 აგვისტოს გაიმართებოდა მოხსენება შემდეგ თემაზე: „საქართველოს კულტურა და ინტელიგენცია". მომხსენებლად გამოდიოდა კოწია კაპანელი, რომელიც უნდა ყოფილიყო ბრალმდებელი ქართველი ინტელიგენციისა, ოპონენტი უნდა ყოფილიყო სერგო გერსამია. მაგრამ აფიშები სრულიად უმიზნოდ დაძველდენ ბორჯომის მაღაზიების კედლებზე და მოხსენებას არავინ დაესწრო.

მოხსენება მოიხსნა. თვითონ ეს ფაქტიც საკმარისი ხდება, რომ ძალაუნებურად ქართველ ინტელიგენციას ბრალი დასდო კოწია კაპანელივით. მათში არ არის ხასიათი და ხალისი, სრულიად არ ეინტერესებათ თავიანთი მოვალეობის გათვალისწინება და აქვთ უნარი თვით კრიტიკისა.

მე მგონია, რომ ძველ ტრადიციებს მოუვიდათ დრო განსვენებისა. კარგი იქნებოდა ქართველი ინტელიგენციისთვის და გაცილებით სასარგებლო ასეთი ლიტერატურული დისპუტები, სადაც დაინახავდენ თავიანთ თავს—ვიდრე რაღაც უაზრო და უშინაარსო „სოსია-ფროსიებით" გატენილი კონცერტები.

ყველამ კარგად იცის თუ რამდენად მდიდარს და მრავალ ფეროვან წარმტაც სანახაობას წარმოადგენს ბუნება ბორჯომის რაიონში. რომ ყველა მოაგარაკეებს საშუალება მიეცეს დაწვრილებით გაეცნოს ამ ლამაზ ადგილებს, ამიტომ ეწყობა ექსკურსიები სახელმწიფო კურორტების ქიმიკოსს ი. ს. ტყეშელაშვილის თაოსნობით, რისთვისაც ის დიდი და ულრმესი მადლობის ღირსია. ის თავისით უძღვება წინ ექსკურსანტებს, ატარებს ყველა ადგილებზე, აჩვენებს ყველაფერს და ხსნის მათ მნიშვნელობას. უკვე მოეწყო ათამდე ექსკურსია, როგორც მაგ.: ელექტრონის სადგურზე, ვორონცოვის ვაკეზე, წყალსადენზე და წყლების გამწმენდ სადგურზე, სადაც ათვალიერებენ წყალთა დაგროვილ აუზს და ფილტრას, პეტრეს ციხეზე, ტორის ვაკეზე, ლიკანის (დღეს ლენინის) სახელობის სასახლეზე, გოგირდის წყალზე, წალვერში და ბაკურიანში (ვულკანზე) და სხვ.

განზრახულია მოეწყოს კიდევ რამოდენიმე ექსკურსია.

საკურორტო სამმართველომ მოაწყო საბუნებისმეტყველო-ისტორიული მუზეუმი, სადაც არის მოგროვილი სხვა და სხვა ცხოველები ბორჯომის რაიონში ნაპოვნი (ჩხამიანი გველები და სხვ.) და მცენარეები, ზოგი მათგანი დიდი ხნის გაქვავებულნი და სხვ. საკურორტო სამმართველოს ტეხნიკურ სამრეწველო განყოფილებას გაზრახული აქვს მოაწყოს ქარხანა, რომელშიდაც დამზადდება წიწვის ექსტრაქტი რევმატიზმის აჲადმყოფობის და ნერვებაშლილობის საწინააღმდეგოდ. ეს საქმეც მინდობილი აქვს ქიმიკოსს ი. ს. ტყეშელაშვილს, რომელიც იჩენს დიდ ხალისს და ენერგიას ამ საქმეში.

—ელი.

---

### სამტრედია.

**ამინდი.** ნამდვილი ციებ-ცხელების ამინდია ამ ჟამად ქვემო იმერეთში. ორი კვირა კოკისპირულად იწვიმა. წვიმა ნიაღვარი პაპანაქება—სიცხემ შესცვალა. ძლიერი ქარიც ხშირია. ნაადრევი ყანები ბევრგან დალეწა ხილი წელს უგემური და მეტ წყლიანი იყო.

**პარკის ოპერაციები.** სამტრედიის რაიონში თითქმის დამთავრდა პარკის ოპერაციები, მოქალაქეთ პარკის მიმღები ყოველი ორგანიზაცია ოქროს ანგარიშით გაუსწორდენ. მოსავალი პარკისა კარგია, მაგრამ ღირსებით პარკი ვერ არის დამაკმაყოფილებელი.

**ბაზრის ფასები**

ყველი ოყა (3 გირ.) 1,500,000 მან.
ქათამი (ვარია) 500,000—700,000 მან.
შაქარი კენჭი 200.000 მ.
ხორცი ძროხისა 400,000 მან.

**წარმოდგენა.** ამ ახლო მომავალში აქ დასდგამენ პიესა „ორ ობოლს". მონაწილეობს ადგილობრივი დასი.

**ტეხნიკუმის შენობის აგება.** იშვიათის სისწრაფით სწარმოებს ადგილობრივ ტეხნიკუმის შენობის აგება.

— ტეხნიკუმის შენობას ანახლებენ აგრეთვე სოფ. დიდ-ჯიხაიშში.

**ლექციები.** სამტრედიის რაიონის მასწავლებელთათვის იკითხება ყოველ კვირეული ლექციები. ლექციები ჯერ-ჯერობით წაუკითხავთ ს. ლორთქიფანიძეს, ანდრო შუშლაძეს, კ. ცაგარეიშვილს და პ. ტაბიძეს. უნდა წაიკითხონ დ. ლოლობერიძემ და სხვათ.

**სამუსიკო სასწავლებელი.** სამტრედიის სამუსიკო სასწავლებელს ქართულ მუსიკისათვის დღემდის იოტის ოდენი არაფერი გაუკეთებია. მოქალაქეთ უკვე გული გაუტყდათ ამ სასწავლებელზე, რადგან იქ ინტრიგების და მეტიჩრობის მეტს ვერაფერს ხედავენ.

ამ სასწავლებელში იმ თავიდანვე ადგილი ჰქონდა მუსიკის აბუჩად აგდებას და დამახინჯებას. თვით მუსიკოსები მეტად ჭრელი და ახირებული ხალხია.

**სანიტარული მხარე.** დღლოცვილ სამტრედიაში სანიტარია აბსოლიუტურად უარუყვიათ: დაუგველი ქუჩები, დამპალი საზამთროები, სახელმწიფო დაწესებულებების წინ მკვდარი ღორები და ძაღლები.

**ლოთობა.** ლოთობამ იმატა, რადგან ერთ-ერთ ნოეს მარანის ექიმს ციებასთან, ანტისანიტარიასთან და სხვა უბედურებასთან საბრძოლველ უებარ საშუალებად ხშირ-ხშირად ღვინით წამლობა გამოუცხადებია.

**გაქართულება.** რკინის გზის უბანში კუს ნაბიჯით მიდის წინ. უცხოელებს წინ **იაკობ გოგებაშვილის** „დედა-ენები" უწყვიათ და ბრძანებას იძლევიან ქართულ ენაზე. ქართველებს წინ „რუსკოე სლოვო" უდევთ და „პრიკაზებს" რუსულად იძლევიან. ქართულს არ კადრულობენ.

---

**ს. ძონძირი.** (სენაკის მაზრა). ამ უკანასკნელ დრომდი ეს სოფელი ითვლებოდა კულტურულათ ჩამორჩენილათ. სიმართლეც იყო. არ არსებობდა აქ არც სკოლა და არც სხვა კულტურული დაწესებულება. სწავლისადმი მისწრაფება საზოგადოებაში ძალიან ნაკლები იყო. მეოთხე წელიწადია რაც სკოლა დაუარსებიათ, მაგრამ, ამისათვის საკუთარი შენობა დღემდე ვერ მოუგვარებიათ. რასაკვირველია, ზედმეტი იყო ლაპარაკი წარმოდგენაზე და სხვა ასეთ კულტურულ გასართობებზე.

ახლა კი ამ სოფელს კულტურულათ წინ წაწევა ემჩნევა. სწავლისადმი მისწრაფება დიდი აქვთ.

სკოლისათვის იშენებენ საკუთარ შენობას, რომელიც რამოდენიმე ასეული მილიონი უჯდებათ. სკოლაში ირიცხება ასამდე მოწაფეები.

არსებობს საკუთარი კლუბი (ყოფილი ეკლესიის შენობა), სადაც ყოველკვირაობით იმართება საღამო-წარმოდგენები და სხვა გასართობები.

არსებობს საკუთარი სცენის მოყვარეთა წრეც, რომელსაც ხელმძღვანელობს ამხ. გრ. ბედია. მისი ხელმძღვანელობით აქ 19 აგვისტოს გაიმართა ბავშვთა წარმოდგენა, სადაც მონაწილეობას იღებდენ მხოლოდ ადგილობრივი სკოლის მე-3 და მე-4 კლასის მოწაფეები. საზოგადოება ბლომათ დაესწრო.

პირველად წარმოთქმულ იქნა მათ მიერ რჩეული ლექსები. ამ დროს მათ ეტყობოდათ ცოტა სიჩქარე. შემდეგ წარმოდგენილ იქნა პიესა „ამერიკელნი" კომ. 2 მოქმედებათ. მთელ კომედიის მოქმედების შესრულებაში მოწაფეები იჩენდნენ სრულ სითამამეს და სიდინჯეს. წარმოდგენა იქნა ჩატარებული მწყობრათ და შნოიანათ დაცული იყო სრული წესრიგი.

დიდი მადლობის ღირსია ამხ. გრ. ბედია, რომელმაც არ დაზოგა შრომა და შესაძლებელი გახადა ძონძირში, კულტურულათ ჩამორჩენილ სოფელში, საბავშო წარმოდგენის გამართვა.

„კაკო".

# ხელოვნება

### სახალხო სახლის ქართული დრამა

ახლოვდება მომავალი სათეატრო სეზონი; სათეატრო წრეებში უკვე სწარმოებს წინასწარი მუშაობა. ასევე არის სახალხო სახლის ქართულ დრამაშიც, სადაც წარმოდგენებს მართავს სახალხო სახლთან არსებული დრამატიული წრე, რომლის ახალი გამგეობის არჩევნები ამ ორი კვირის წინეთ მოხდა და წინასწარ სამზადისს მომავალ სეზონისთვის უკვე შეუდგა. ამ ცოტა ხანში რეჟისორი და გამგეობა საბოლოოდ შეადგენენ რეპერტუარს. ძალიან კარგი და მიწანშეწონილია, რომ ვიდრე კიდევ დრო არის სეზონის გახსნამდე შეუდგნენ სამზადისს. აძ მხრივ ახალი რეჟისორი კარგს იმედებს იძლევა, მას განზრახული აქვს მომავალ სეზონში სახალხო სახლის აუდიტორიას აჩვენოს სულ სხვა შინაარსის პიესები, რომელიც ახალი ხილი იქნება ამ თეატრისათვის. ძალიან სასიამოვნო და ამასთან საჭიროც არის ასეთი ახალი უფრო სერიოზული შინაარსიანი პიესების დადგმა და ამნაირად მუშათა მასის გემოვნების განვითარება-ამაღლება, ვიდრე კვლავ განახლება ათასჯერ დადგმული, დახავსებული და მობეზრებული პიესებისა.

მეტად კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ჩვენზედ, ახლად მოწვეული რეჟისორის მ. ლვამიჩავას იმ მოკლე საპროგრამო სიტყვამ, რომელიც მან წარმოსთქვა, წრის საზოგადო კრებაზედ, და გააცნო მომავალი თვის მოქმედება-მუშაობის საზოგადო მიმართულება—გეზი.

მას ნათლად და მკაფიოდ ჰქონია გათვალისწინებული, ყველა ის რაც საჭირია სახალხო სახლის აუდიტორიას დღევანდელს პირობებში, და აქ ნათლად გამოირკვა მისი მომავალი მუშაობის მთავარი იდეა, რომელიც მიმართული იქნება სახალხო სახლის ქართული დრამის განახლებისაკენ, რაც ესოდენ საჭიროა. მხოლოდ ვიტყვით რომ, ამ მიზნის მისახწევად აუცილებლად საჭიროა, რათა რეჟისორს ხელი შეუწყოს ობიექტიურმა პირობებმა, ურომლისოდაც ის ვერაფერს ვერ შესძლებს, და არც არაფრის მიხწევა-გაკეთება შეიძლება, ამ შემთხვევაში მას ყველაფერი ხელს უნდა უწყობდეს, ამასთანავე თვით პიესის მომზადება და დასის მუშაობაც უკეთესს პირობებში უნდა სწარმოებდეს თუ გვინდა რომ მუშაობის ნაყოფი კარგი იყოს; საქმე შემდეგში გახლავთ, თვით დასის შემადგენლობა თითქმის ყველა კერძო სამსახურში იმყოფება. ესენი არ არიან პროფესიალი მსახიობნი, რომელთაც შეეძლოთ მთელი თავისი ძალ-ღონე, დრო, ხელოვნებას შესწირონ და მოახმარონ, ამის გამოისობით მათ მხოლოდ საღამოობით შეუძლიანთ რომ მივიდნენ თეატრში რეპეტიციებზედ, უკვე დაღლილ-დაქანცულნი ხანდისხან თავისდაუნებურად უგვიანდებათ კიდეც, რადგანაც მათ საქმე აბრკოლებთ, რომ დროით მოვიდნენ თეატრში, რათა რეპეტეციებს დაესწრონ, და რაღა თქმა უნდა ასეთს პირობებში ყოვლად შეუძლია და მოუხერხებელიც, რომ წარმოდგენების საქმე უკეთ მოეწყოს და სწარმოებდეს. მოგეხსენებათ რომ პიესის მომზადებას, საჭირო მუშაობას, აუცილებლად საჭირია საჭირო თავისუფალი დრო და მოცალეობა, რათა მუშაობაში სისტემა იყოს დაცული, აი ამას უნდა მიექცეს მთავარი ყურადღება, თუ გვსურს საქმე უკედ მოეწყოს. მაგრამ აქ უეჭველად უმთავრესი მიზეზი ფინანსიური მხარეა, რომელიც სახალხო სახლის დრამის გამგეობას სამწუხაროდ არ მოეპოვება. საშუალება უნდა გამოიძებნოს. აუცილებლად საჭიროა მთავრობის დიდი დახმარება ამ საქმეში.

იმ დროს, როდესაც [illegible] ტრუპსაც არ შეუძლიათ [illegible] არსებობა ცხადია სახალხო სახლი მით უმეტეს ვერ შესძლებს.

უდავოა, რომ ყოველ ახალ პიესის მოსამზადებლად საჭიროა განსაზღვრული დრო და მუშაობა, ჩამოყალიბებული მტკიცე სისტემა, ურომლისოდ პიესის სათანადოთ მომზადება და მისი მხატვრულად განსახიერება წარმოუდგენელია. წარსულ სეზონში კი ადგილი ჰქონდა სამწუხაროდ არასასურველს მოვლენებს. მაგალითად წარმოსადგენად დანიშნავდენ რომელიმე ახალს პიესას, რომელსაც მსახიობნი არ იცნობდნენ ნაწარმოებს, ავტორის მთავარ იდეას, ტიპებს და მათ ხასიათს. აი ასეთი ახალი პიესა იდგმოდა სრულიად მოუმზადებელი სულ რაღაც სამი თუ ოთხი რეპეტიციის შემდეგ. რასაკვირველია თუნდაც პროფესიონალური მსახიობი რა გინდ ნიჭიერიც იყოს, ასეთს პირობებში ვერაფერს გააკეთებს და ოდნავაც ვერ გადმოგცემს და განასახიერებს იმას, რაც ავტორს აქვს დასახული და რის მოცემაც მას შეუძლიან მუშაობა მომზადების უკეთესს პირობებში. ასეთი პირობები უნდა მოისპოს მუშაობა-მომზადება წესიერ სისტემით უნდა სწარმოებდეს, ნაწარმოები წარმოდგენამდე საკმაოდ გაცნობილი უნდა ჰქონდეთ მსახიობებს, ტიპები შესწავლილ გათვალისწინებული და ამნაირად როლებიც საფუძვლიანად შესწავლილი. ამ გვარი წესი არსებობს ყველგან და ეს არის ერთად ერთი პირობა დასახულ მიზნის მისაღწევად.

ამისთვის საჭიროა მომავალ სეზონის მუშაობაში სჩანდეს რეჟისორის მკვეთრი, მტკიცე ხელი და ურყევი ნებისყოფა, ამასთანავე საჭიროა, რომ რეჟისორმა ყურადღება მიაქციოს ახალგაზრდა ძალებს რომელნიც დასში მოიპოვებიან, და რომელთაგანაც უნდა შესდგეს მომავალში მსახიობთა კადრი. კარგად ვიცით რომ მაყურებელ საზოგადოებას ბეზრდება რამოდენიმე წლის განმავლობაში ერთი და იგივე მსახიობის ცქერა, და იგი ამიტომ დაინტერესებულია ყოველ სეზონის დასაწყისს დაინახოს სცენაზედ ახალი მსახიობნი, ეს ერთობ ბუნებრივია (რასაკვირველია ჩვენ აქ სახეში არა გვყავს საზოგადოების საყვარელი დამსახურებული მსახიობნი). აი ამიტომაც საჭიროა, რომ ამ ახალ ძალებს მიეცეთ მეტი შესაძლებლობა, ფართო გზა და გასაქანი.

დასასრულს არ შეიძლება გვერდი აუხვიოთ ერთ მეტად სამწუხარო მოვლენას.

ყველაფერში განახლება მოხდა, ამიტომ სახალხო სახლის ქართულ დრამის ცხოვრებაშიც უნდა მოხდეს აუცილებლად საჭირო გარდატეხა, უამისოდ მის არსებობას არავითარი მიზანი არ ექნება.

ახალს თეატრში უნდა მოსჩანდეს ახალი მხატვრული ტეხილები, მეტი სიხალისე, აღმაფრენა და ჭეშმარიტ ხელოვანის პელოვნების სამსხვერპლოზე წვა, მსხვერპლშეწირვა!..

ვ. ბ.

---

## ღია წერილი

**ამხ. კიწი გეგეჭკორს.**

ჩემი ხელთნაწერები გადმომიგზავნე სოფ. აბაშაში.

**ძუკუ ლოლუა.**

---

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

---

## ზემო-ავჭალის ჰიდრო ელსადგურის სამუშაოთა სამმართველო ამით აცხადებს,

## რომ ა. წ. 5 სექტემბერს მის მიერ დანიშნულია

# შეჯიბრება

## ერთ სართულიანი ყავრით დახურული სახლის იჯარით აღების შესახებ

სახლი იქნება აგებული ნამტვრევი ქვისაგან და შემდეგი ზომის გეგმაში 11, 20, სულ დაახლოვებით 140 კუბ. საჟ. მასალები იქნება „ზაჰესის", ხელსაწყოები კი მოიჯარადრის. სამუშაო შესრულებული უნდა იქნეს ერთ თვე ნახევარში.

იმ პირებმა, რომლებსაც სურთ აიღონ აღნიშნული სამუშაო, უნდა შემოიტანონ ამის შესახებ წერილობითი განცხადება დაწესებული ნიმუშის ბლანკზე წარწერით:

„ზაჰესი"-ს სამუშაოთა უფროსს ა. წ. 5 სექტემბრის შეჯიბრებისათვის. ამავე დღესვე გაიხსნება პაკეტები. ფასები აღნიშნული უნდა იქნეს ჩერვონეცის მანეთებში. ფულის გადახდა იწარმოებს საგადასახადო ქვითარის შედგენის დღეს ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით თანახმად ტფილისის სავალიუტო ბირჟის კურსისა.

## განცხადებასთან დართული უნდა იქნეს ქვითარი ზაჰესკომის სალაროში შეტანილი თანხის 50 პრ. შეტანის შესახებ.

საწინდარი უძრავი ქონებისა და სხვა ამგვარის სახით მხედველობაში არ იქნება მიღებული საწინდარის შემოტანისაგან არავინ არ განთავისუფლდება.

საწინდარი იმ პირების ან ორგანიზაციების, რომლებიც აიღებენ სამუშაოს, გადიდებულ იქნება საერთო ჯამის 10 პროცენტამდი პირველი მისაღებ თანხიდებან 10 პროცენტის დაჭერით და დაბრუნებულ იქნება სამუშაოს შესრულების შემდეგ.

ზაჰესკომი იტოვებს უფლებას გასცეს სამუშაო არა უმცირეს ფასებშიაც, მიიღებს რა მხედველობაში მოიჯარადრის წინანდელ მოღვაწეობას და მის გამოცდილებას.

ვრცელი პირობების და ნახაზების გაცნობა შეიძლება ზაჰესის ტეხნიკურ განყოფილებაში ყოველივე დღის 10—12 საათამდი. ქ. ტფილისი, ლ. დუმბაძის ქუჩა, სახლი № 3 იქიდანვე გაიცემა დაწესებული ნიმუში ბლანკებისა განცხადებისათვის.

ზაჰესის სამუშაოთა უფროსის თანაშემწე გ. კიკნაძე.

№ 398.—3—1.